პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივნის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 191 (1046) შაბათი 23 აგვისტო 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 191 (1046)

დღიური

— მთელ იტალიაში ხდება ფაშისტების საწინააღმდეგო გამოსვლები.

— ავღანისტანში დაიწყო აჯანყება ემირის წინააღმდეგ; აჯანყებულებმა დაიკავეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილები.

— ჩინეთში მოელიან სამოქალაქო ომის დაწყებას.

— ინდოეთში ხდება ანტიბრიტანული დემონსტრაციები.

— მაროკოში გრძელდება ბრძოლა აჯანყებულ მცხოვრებთა და ისპანიის ჯარებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მორიგი ამოცანა

ახლო მომავალში პარტია შეუდგება „ლენინის გაწვევის“ კანდიდატების გადაყვანას ნამდვილ წევრებად. ეს უაღრესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი პარტიისათვის.

ყველას გვახსოვს, ბელადის გარდაცვალებამ თუ რა სტიქიური, მასიური ლტოლვა გამოიწვია ჩვენი პარტიისაკენ მუშათა კლასის ფართე წრეებში. ლენინის სიკვდილის საპასუხოდ, ამ დანაკლისის რამოდენიმედ მაინც ასანაზღაურებლად,—მუშათა კლასი მთლიანად უფრო მჭიდროდ შემოკრბა მისი პარტიის გარშემო და გაგზავნა იქ თავისი რჩეული წარმომადგენლები.

კერძოდ, საქართველოს კომპარტიას შეემატა 4.000-ზე მეტი ნამდვილი მუშა.

ამ გარემოებამ საგრძნობლად შესცვალა ჩვენი ორგანიზაციების სოციალური შემადგენლობა. ჩვენი პარტია რიცხობრივად არც ისე მძლავრი იყო წმინდა პროლეტარული ელემენტით. მის დიდ პროცენტს შეადგენდნენ მუშათა კლასთან ახლო მდგომი სოციალური ჯგუფები—მოსამსახურენი, მშრომელი ინტელიგენცია, გლეხები. აქ იმალებოდა ერთგვარი საფრთხე პარტიის წვრილ-ბურჟუაზიული გადაგვარების, პროლეტარული ხაზის გაწრუდების. ეს საშიშროება მით უფრო რეალურია ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, როცა ბურჟუაზიული სტიქია მძლავრად ეხეთქება პარტიის რიგებს, ცდილობს შეარყიოს ისინი, დაუმორჩილოს თავის გავლენას.

გარდა ამისა, ჩვენს პარტიას, როგორც მმართველ, სახელმწიფოებრივ პარტიის, მისთვის უცხო სოციალური ელემენტები აწვებიან სახელმწიფო აპარატის საშუალებითაც. თავის თავად აქაც იმალება საშიშროება პარტიის მოწყვეტისა მასსებისაგან, მისი კომუნისტური პოლიტიკის გადამახინჯების.

და აი, ნამდვილ საშუალებას ამ შესაძლებელ საშიშროებათა წინააღმდეგ წარმოადგენს პარტიის პროლეტარული ხერხემალის გაძლიერება და მუშათა ფართე მასსებთან კი უშუალო კავშირის გაბმა.

[illegible] ამ პარტიაში ამ მიზანს ძალიან დაუახლოვდა. დღეს ჩვენი პარტიის მთელი შემადგენლობის 50 პროც. მეტი წმინდა მუშურია. ეს უკვე დიდი მიღწევაა. ასეთი შემადგენლობის დროს პარტიის პროლეტარული ნაწილი შეინარჩუნებს ხელმძღვანელ როლს დანარჩენ მასაზე, შეუძლებელს გახდის პარტიის შინაგან გარდაქმნას და დაიცავს მას ბურჟუაზიულ სტიქიის იერიშებისაგან.

ჩვენი იდეალი, რა თქმა უნდა, უფრო შორს მიდის. პარტია შემდეგში უფრო უნდა გავაძლიეროთ პროლეტარული რიგებით. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ თანდათანობით.

დღეს კი ჩვენს წინაშე სხვა ამოცანა სდგას, სახელდობრ—ხსენებულ 4.000 კანდიდატის გადარიცხვა პარტიის წევრებად. ეს სრულებით არ არის უბრალო მექანიკური პროცესი.

გამოსარკვევია, რამდენად შეისისხლხორცა თითეულმა მათგანმა ჩვენი პარტიის პროგრამა და ტაქტიკა, ბრძოლის და მუშაობის მეთოდები, დისციპლინა, ლენინის პრინციპები.

მართალია, ბევრ მათგანს საკმაო საწარმოო და რევოლიუციონური სტაჟი აქვს, მაგრამ მათ მაინც არ ჰქონდათ გავლილი ჩვენი პარტიის სკოლა, ლენინიზმის სკოლა.

პარტიამ ყოველი ღონე იხმარა მათი მოსამზადებლად, გადასამუშავებლად. თავის დროზე „ლენინის წრეებით“ იყო დასერილი ჩვენი ორგანიზაციები, სადაც პარტიის ახალი კანდიდატები, გამოცდილ ამხანაგების ხელმძღვანელობით, იძენდნენ საჭირო პოლიტცოდნას, ეცნობოდნენ ჩვენი პარტიის ისტორიას, ლენინის მოძღვრებას და სხ. ამ, ასე ვსთქვათ, თეორიულ მუშაობასთან ერთად ისინი ჩაბმულ იქნენ პრაქტიკულ, პარტიულ და სხვა მუშაობაში—უჯრედებში, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებში, საშეფო კომისიებში, საწარმოო თათბირებში და მრავალი სხვა სახის მუშაობაში.

ექვსი თვე გრძელდება ეს მოსამზადებელი მუშაობა. ამავე დროს ეს ექვსი თვე იყო გამოცდის პერიოდი.

დღეს ასე თუ ისე გამორკვეული უნდა იყოს, თუ რამდენად შესაფერისია თითეული კანდიდატი თავისი მომზადებით, ხასიათით, ყოფა-ცხოვრებით, მიმართულებით და სხვა საჭირო თვისებებით—იმისათვის, რომ ატაროს კომუნისტური პარტიის წევრის საპატიო, მაგრამ ამავე დროს მეტად საპასუხისმგებლო სახელი.

ყველაზე უფრო ეს უნდა იცოდეს, რა თქმა უნდა, იმ უჯრედმა, სადაც ესა თუ ის კანდიდატი მუშაობს. ამიტომ უჯრედის მსჯავრს ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ მცირე გამონაკლისის გარდა,—ის 4,000 მუშა, რომელნიც ამ ექვსი თვის წინედ ჩადგნენ ჩვენს რიგებში, სავსებით მომზადებული და შესაფერისნი არიან იმისთვის, რომ გახდნენ პარტიის ნამდვილ წევრებად და მით უფრო განამტკიცონ ჩვენი კომუნისტური ოჯახი.

მათ უნდა გაუადვილოთ წევრებად გადარიცხვა; არ უნდა გამოვეკიდოთ ამ შემთხვევაში დიდ ფორმალობას. ამავე დროს თვითეული კანდიდატის წევრად გადაყვანა უნდა ხდებოდეს მისი საფუძლიანი და ყოველმხრივი საჯარო შეფასების შემდეგ.

პარტია ამ თავითვე უნდა მოემზადოს ამ დიდი მორიგი კამპანიის სათანადოდ ჩატარებისათვის.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის

საბჭოთა კავშირის მომავალი საავსებით დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების სიდიდეზე. შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეზე ყოფნის დროს შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება, მუშათა და გლეხთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესება.

შრომის ნაყოფიერების ზრდის გარეშე წარმოუდგენელია კომუნისტური წყობილების გამარჯვება, ვინაიდან უამისოდ ქვეყანა ვერასოდეს ვერ დააღწევს თავს სიღარიბეს, ვერ შექმნის პირობებს თავის ძალთა სათანადო განვითარებისთვის.

ამხ. ლენინის აზრით: „შრომის ნაყოფიერება ეს საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაზე უმთავრესია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისთვის“. აქედან ცხადია, თუ რატომ ასე დიდ ყურადღებას იჰყრობს შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხი მთელ საბჭოთა კავშირში, როგორც სამეურნეო ორგანოების, ისე პროფორგანოების მუშაკთა შორის და თუ რატომ იწვევს ის ასე გაცხოველებულ კამათს.

იმპერიალისტურ და მასზე მოყოლებულ სამოქალაქო ომის დროს ჩვენი მრეწველობა მეტად დაზიანდა, დაეცა და მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი მისი თანდათანობით ფეხზე წამოყენება, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მან არა თუ ვერ გაუსწორო ომის წინადროინდელ მდგომარეობას, საერთოდ—ვერც გაუსწორდა მას.

შედარებით უფრო ჩქარი ტემპით სწარმოებდა სასოფლო-მეურნეობის აღორძინება, რის გამოც ფასები სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებებზე უკანასკნელ დრომდე მეტად მცირე იყო მრეწველობის ნაწარმოებთა ფასებთან შედარებით. ამ ნიადაგზე წარმოიშვა „მაკრატლის“ პრობლემა, რომლის გადაჭრას საბჭოთა ხელისუფლება ახერხებს თანდათანობით ენერგიულ ღონისძიებათა მიღებით.

მაგრამ ჩვენი მრეწველობის ნაწარმოებთა ფასები დღესაც დიდია და სიძვირის გამო ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული საქონელი ნაკლებათ მისაწვდომია უმთავრესი მომხმარებლისთვის, გლეხთა ფართო წრეებისთვის. შრომის ნაყოფიერების გაზრდის გარეშე კი წარმოუდგენლია ამ ნაწარმოებთა ფასების სასურველ დონემდე შემცირება და მით მთელი ჩვენი მრეწველობის განვითარება-გაფართოებისათვის ხელისშეწყობა.

მრეწველობის გაფართოების და გადიდების გარეშე კი წარმოუდგენელია მშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიური წინსვლა, შრომის ნაყოფიერების გაზრდისთვის აუცილებელია, რომ თვითეული მუშა სცდილობდეს თავის მუშაობის ნაყოფიერებაზე, ინტენსივობაზე, რომ ის სრული შეგნებით და პირნათლად ასრულებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რომ წარმოებაში არავითარ დაუდევრობას და უსაქმოთ დროს დაკარგვას ადგილი არ ქონდეს.

ყოველივე მუშა გამსჭვალული უნდა იყოს წარმოების ინტერესებით, მისი გაზრდა-გაუმჯობესებაზე მზრუნველობით. ყოველი მუშა უნდა ფიქრობდეს, რომ ჩვენი სახელმწიფოს საერთო ეკონომიური წინსვლის და თვითეული წარმოების ნაყოფიერების გაზრდის გარეშე წარმოუდგენლია კერძოდ მისი მდგომარეობის გაუმჯობესება. შრომის ნაყოფიერების გაზრდა არის ლოზუნგი, რომლის განხორციელებით მხოლოდ შესაძლებელია შრომის ხელფასის გადიდება და მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების უზრუნველყოფაც.

დღესდღეობით მრავალი სამეურნეო ორგანოების გამოკვლევით შრომის ხელფასი გაცილებით მაღლა სდგას შრომის ნაყოფიერებაზე იმ დროს, როდესაც შრომის ხელფასი უახლოვდება და ზოგიერთ დარგებში კიდეც უთანასწორდება ომის წინადროინდელ ნორმებს, შრომის ინტენსივობა გაცილებით დაბლა სდგას ომის წინადროინდელ ინტენსივობასთან შედარებით.

თუმცა ამ აზრის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც არის წამოყენებული, მაგრამ ზოგიერთი წარმოებების შესახებ ეს ყოველ შემთხვევაში უდავოა. ყოველმა მუშამ, ყველა პარტიულმა, პროფესიონალურმა და პირველ ყოვლისა კი სამეურნეო ორგანოებმა მიზნათ უნდა დაისახონ წარმოებებში შრომის ნაყოფიერების გაზრდა.

მაგრამ წარმოებათა ნაყოფიერების გაზრდისთვის აუცილებელია მუშათა შრომის ინტენსივობის გაზრდასთან ერთად წარმოების რაციონალურ საფუძველზე მოწყობა, უზრუნველყოფა ნედლი მასალით, სათანადო მოწყობილობით, ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოღებით და სხვა.

ყველა დეფექტები, რომლებიც ხელს უშლიან წარმოების განვითარებას საერთო ძალღონით დაძლეულ უნდა იქნან. საწარმოო თათბირებმა, რომელშიდაც წარმოების ყველა მომუშავე იღებს მონაწილეობას თავის წარმომადგენლების და ორგანოების საშუალებით, უნდა მიიღონ ზომები წარმოებაში ყველა დეფექტების აღმოსაფხვრელად, ბრძოლა გამოუცხადონ ყოველ დაუდევრობას და ზარმაცობას, საიდანაც არ უნდა წარმოსდგებოდეს ის.

წარმოების ორგანიზაცია და შრომის ორგანიზაცია პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს და ეს ორივე მხარე ჩვენი მუშაობასა მიზნათ უნდა ისახავდეს შრომის ნაყოფიერების გაზრდას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამას დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რაიონებში ნაწილობრივი მოუსავლიანობას აქვს ადგილი. გლეხობის სყიდვითი უნარი ამის გამო რამოდენიმეთ შესუსტდება დროებით და საჭიროა მას იაფ ფასებში მიეაწოდოდ მრეწველობის ნაწარმოებნი.

ამისათვის კი აუცილებელია მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გაზრდა. მაშასადამე, გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გაზრდას და მით უფრო ენერგიული ზომების მიღება გვმართებს მის მისაღწევათ, მის განსახორციელებლათ.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი დაბრკოლებები გადალახა კომპარტიის ხელმძღვანელობით ამ 6—7 წ. განმავლობაში თავისი თავდადებული გმირული ბრძოლით. გამარჯვებული მუშათა კლასი შესძლებს შრომის ნაყოფიერების იმ დონეზე აყვანას, რომელიც აუცილებელია ახალი საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცებისათვის.

შრომის ნაყოფიერების გაზრდა მუშათა კლასის სადღეისო ლოზუნგია და ის შესძლებს ამ ლოზუნგის განხორციელებას, როგორც შესძლო ოქტომბრის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ სხვა ლოზუნგთა განხორციელება.

ა.

დღიური

2.

წითელი არმია და ნოე ჟორდანიას ბელურები

მკითხველს, ალბად, უკვე გაგებული ექნება, რომ ნოე ჟორდანია ამ ბოლო ხანებში დიდ-ძალ ენერგიას ხარჯავს საქ. მენშევიკური პარტიის პოლიტიკის დასაცავად. გასული წლის აგვისტოში მომხდარმა ყრილობამ, რომელიც გამოხატავდა მენშევიკურ პარტიაში მრავალი წლის განმავლობაში მომუშავე მუშებისა და მშრომელი გლეხობის მისწრაფებას თავი დაეღწიათ მენშევიკების დამღუპველ მოღვაწეობისაგან, ფორმალურად ლიკვიდაცია უყო რღვევის პროცესში მყოფ პარტიას. ამ გარემოებას არ შეეძლო ევროპის სასახლეებში შეხიზნულ, უჯაროდ დარჩენილ „გენერლების“ აღშფოთება არ გამოეწვია. და ისინიც მთელი თავიანთი ენერგიით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აქ მოულოდნელი არაფერი არ მომხდარა, რომ „კვანტალიანის ლექციებმა“ მხოლოდ პარტიის ზოგიერთი მერყევი ელემენტები დააშინა, თვით პარტია კი მტკიცეთა და ურყევად სდგას, მისი პოლიტიკა სასარგებლოა და მიზანშეწონილი მთელი ქართველი ხალხისათვის. ნეტავ არიან მენშევიკების მორწმუნენი!!

მხოლოდ ჩვენ გვინდა ვიკითხოთ, საიდან, როგორ, რომელი არგუმენტის ძალით გამართლდა მენშევიკების პოლიტიკა? ნუ თუ ოცი ათასი მუშისა და გლეხის დადგენილება პარტიის გაუქმების შესახებ არაფერს არ ნიშნავს? ამაზე ნოე ჟორდანია თავის უკანასკნელ წიგნაკში („ჩვენ და ისინი“) გვიპასუხებს: „პარტიას დაანგრევს მხოლოდ უპრინციპობა, აზრთა არევა“ (გვ. 7) და არა ოცი ათასი წევრის გამოსვლა. ყველამ კარგად უწყის, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას დღეს დედამიწის ზურგზე არ ახასიათებს ისეთი უპრინციპობა და აზრთა არევ-დარევა, როგორც მენშევიკურ პარტიას. ეს პარტია დღეს უპრინციპობის ჭაობში იღრჩობა და სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მათი დაშლა საქართველოს სინამდვილეში, ხოლო საგრძნობლად დასუსტება ევროპის ქვეყნებში.

ასეთს პირობებში ნ. ჟორდანია ჰალილეის გმირობას ბაძავს და გაიძახის: „მაინც ვარსებობთ, მაინც ვარსებობთ“. ვფიქრობთ, არავის შეეხარბება ასეთი არსებობა და მოღვაწეობა! ეს მხოლოდ წყალწაღებულის ხავსზე დაპოტინებაა და მეტი არაფერი.

ნ. ჟორდანიას ყოველთვის ახასიათებდა სხარტლათა და მოკლეთ თავისი აზრების გამოთქმა. ახლაც პაწია ბროშურაში თანამედროვე უდიდეს კარდინალურ კითხვებს ეხება. საქართველოს საკითხის გამორკვევას ცდილობს, მენშევიკების პოლიტიკას ამართლებს. მაგრამ კითხვები იმდენად გაუმარტივებია და „დაუმოკლებია“, რომ თითქოს მოსაკითხ წერილს წერდეს მისთვის კარგად ცნობილ ლანჩხუთელ ნიკოისს.

ჩვენ გვინდა მკითხველს ნ. ჟორდანიას „გამარტივებულ“ აზროვნების ერთს პატარა მაგალითზე მიუთითოთ. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა ქვეყნები არასოდეს ისეთი სუსტნი არ ყოფილან როგორც დღეს არიან. ამიტომ მათ აუცილებლად მოელის დაცემა.

— ეკონომიური წარმატება, პოლიტიკური განმტკიცება, ევროპის სახელმწიფოთაგან იურიდიული ცნობა, წითელი არმიის არსებობა,—ესენი არაფერს ნიშნავს?—იკითხავს განცვიფრებული მკითხველი.

— ესენი მხოლოდ მოჩვენებაა, არავითარს რეალურს ნაყოფს არ იძლევიან,—უპასუხებს ჟორდანია,—წითელი არმია?—„სახელოვან წითელი არმიის დღეს ევროპაში ბელურებსაც არ ეშინიათ—დასძენს „გამარტივებული არგუმენტაციის ავტორი.

ბედნიერი „ევროპის ბელურები“! სანამ არსებობდა ჟორდანიასა და ვ. ჯუღელის „სახელოვანი“ გვარდია, მათ ზაფრისაგან გული უსკდებოდათ! წითელი არმია კი აბა რას წარმოადგენს, რომ მისი შეეშინდეთ!

ჩვენ კარგად გვესმის, თუ ასეთი გამარტივებული მსჯელობის მთავარი დანიშნულება რაში გამოიხატება და როგორი პრავოკაციული მიზნები უდევს მას სარჩულად. სულ აგერ ახლა გადმოგზავნა მენშევიკების გენერალისიმუსმა, ბატ. ჟორდანიამ ახალი აჯანყების მოწყობის გეგმები, რომლებმაც ამხ. კვანტალიანის აუდიტორიაში ამოყვეს თავი. ჟორდანიას გამარტივებულ არგუმენტაციას წითელი ჯარის შესახებ ახლო კავშირი აქვს ამ გეგმებთან.

მაგრამ ვინ სურს ჟორდანიას დაარწმუნოს თავის არგუმენტაციის სინამდვილეში? განა ქართველმა მშრომელმა ხალხმა არ იცის, რომ წითელი არმიის არსებობა თავიდანვე შიშის ზარს სცემდა და დღესაც სცემს „ევროპის ბელურებს“?

ჟორდანიას „ბელურები“ დიდი ხანია ხედავენ წითელ არმიაში მათი არსებობის უდიდეს საფრთხეს. ეს კარგად იცის ჟორდანიამ, მაგრამ მისი გამომჟღავნება არ მიაჩნია სასარგებლოდ.

აბა ყური ათხოვეთ, თუ რას ამბობდა ვერსალის კონფერენციაზე ინგლისელი ცნობილი „ბელურა“ ლლოიდ-ჯორჯი წითელ არმიის შესახებ? 1919 წ. იგი შეშინებული კილოთი არწმუნებდა კონფერენციის წევრებს: „რაღაც ეშმაკობით ბოლშევიკებმა შესძლეს თავიანთი გავლენის შენარჩუნება რუსეთის მასაზე და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ჰათ შექმნეს მსხვილი, როგორც სჩანს კარგად გაწვრთნილი არმია, რომელიც მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს თავის იდეალებისათვის. ერთი რომელიმე წლის შემდეგ რუსეთი, გამსჭვალული ენტუზიაზმით, იყოლიება რა ერთად ერთს მთელს მსოფლიოში ჯარი მებრძოლი თავისი იდეალებისათვის,—შესძლებს დაიწყოს ომი“. ასე სწერდა ნ. ჟორდანიის ერთი დიდი ინგლისელი ბელურა წითელი ჯარის შესახებ. განა ასეთივე არგუმენტაციებით არ გამოდიოდა კლემანსო-ბრიან-პუანკარე? განა ისინიც არ იცავდნენ საფრანგეთის შეიარაღებული ძალის საჭიროებას წითელი არმიის არსებობის ფაქტით? განა არისტიდ ბრიანი არ ამბობდა ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომ სანამ არსებობს გერმანიის საფრთხე და მის უკან კიდევ შეიარაღებული წითელი არმია, საფრანგეთი განიარაღებაზე ვერ იფიქრებსო?—რასაკვირველია ამბობდა, კიდეც ამბობს და მომავალშიაც იტყვის, მაგრამ ჟორდანიას გამარტივებული აზროვნება ამ არგუმენტებს არავითარს მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ან რა სასარგებლოა მისთვის რომ მიანიჭოს?

— არავითარი.

ამიტომ შესაძლებელი ხდება არგუმენტების თავდაყირა გადაბრუნება და „ბელურების“ მსჯელობამდე ჩამოყვანა.

ნეტავი, რას იტყვიან ჩვენებური „ბელურები“, როდესაც ნ. ჟორდანიას ასეთს მოკითხვას ბარათს წაიკითხავენ?

მოხული.

გერმანიის გაყვლეფა გრძელდება

რეიხსტაგმა მოიწონა გერმანიის გაყვლეფის გეგმა

ერრიოს განცხადებით, ანტანტის მთლიანობა აღდგენილია

გერმანიის მრეწველები კმაყოფილნი არიან დოუესის გეგმის მიღებით

სნოუდენი ბანკირებს იცავს

მაკდონალდი და სნოუდენი.

ლონდონი, 20 აგვისტო. „მანჩესტერ გარდიენი“ აქვეყნებს თავის თანამშრომლის საუბარს ხაზინის კანცლერთან, რომელიც მხარს უჭერს გაზეთის პროტესტს რურის ოკუპაციის გაგრძელების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ შემდეგი ოკუპაცია ეწინააღმდეგება დოუესის გეგმას. ლიბერალური გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ სნოუდენის ამ განცხადებას და მაკდონალდის დაგვიანებულ წერილს ერრიოსა და ტენისისადმი და აყენებენ კითხვას, რატომ კონფერენციამ არ განიხილა **რურის ევაკუაციის საკითხი სხვა საკითხებთან ერთად.**

„დეილი ხრონიკლი“ აღნიშნავს, რომ მაკდონალდის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს აეძულებია მოკავშირეები გაეზიარებიათ ინგლისის თვალსაზრისი, სანამ მიღწეული იქნებოდა რაიმე შეთანხმება.

„ვესტმინსტერ გაზეტტი“ ხაზს უსვამს, რომ **სნოუდენსა და მაკდონალდს შორის პოლიტიკური უთანხმოება ძლიერდება: ორივე მინი**სტრებს შორის მომხდარი შეტაკება გავლენას მოახდენს მომავალ პოლიტიკურ ამბებზე. **მოკავშირეთა კონფერენციაზე სნოუდენი იცავდა ბანკირების თვალსაზრისს გერმანიის სესხის უზრუნველყოფის შესახებ. სნოუდენი ილაშქრებდა საერთოდ სესხის მიცემის და რურის ოლქის დაუყოვნებელ ევაკუაციის წინააღ**მდეგ. სწორედ ასეთები იყვნენ სნოუდენის წინააღმდეგი ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის დროს საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემის საკითხში. ხაზინის კანცლერის ოპოზიცია, რომელიც დამარცხებული იყო ტრედიუნიონების გავლენით, ხელახლა იჩენს თავს, რასაც ამტკიცებს სნოუდენის მტრული განწყობილება საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის სესხის მიცემის საკითხში. ამ ჟამად ხაზინის კანცლერი ამზადებს ახალ ბიუჯეტს, რომელიც დამყარებულია თავისუფალ ვაჭრობაზე და სოციალურ რეფორმებზე, რაც მუშათა პარტიის მთავარ კოზირად უნდა ჩაითვალოს მომავალ საპარლამენტო არჩევნების დროს. ამ ბიუჯეტის განხორციელება საშიშროებას უმზადებს საბჭოთა კავშირის სესხს და მოკავშირეთა შეთანხმებას.

მყვლეფელთა თარეში

გემრიელი ლუკმა

ნაუენი, 22 აგვისტო. პარიზის პრესა დარწმუნებულია, რომ ორთავე პალატაში ერრიოს დეკლარაციის განხილვის შემდეგ უკანასკნელი მიიღებს დიდ უმრავლესობას და ამრიგად ლონდონის შეთანხმება დამტკიცებული იქნება საფრანგეთის მიერ ჯერ კიდევ 30 სექტემბრამდე.

რასაკვირველია!

პარიზი, 22 აგვისტო. ბელგიის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ტენისის მოხსენება ლონდონის შეთანხმების შესახებ.

მაკდონალდი საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

ლონდონი, 22 აგვისტო. „დეილი ექსპრეს“-მა გამოაქვეყნა დეპეშა მაკდონალდის, რომელიც ეხლა იმყოფება დასასვენებლად ლონდონის გარედ; დეპეშა შეეხება საფრანგეთ-გერმანიის მომავალ სავაჭრო ხელშეკრულებას. მაკდონალდი ამბობს: „მომავალში ხელშეკრულების დადების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ინგლისის სათანადო დეპარტამენტებს დაევალა მოხსენებების დამუშავება. ერრიო მაცნობებს მე თავის წინადადებებს, რომელთაც ის წარუდგენს გერმანიას“.

გაზეთი დასძენს, რომ ამ ჟამად მაკდონალდი იზიარებს სნოუდენის აზრს, რომელიც ფიქრობს, რომ მომავალი ხელშეკრულება შეიძლება სერიოზულ საფრთხედ იქცეს ინგლისის ვაჭრობისათვის.

ფეიქართა კონგრესი

ვენა. 20 აგვისტო. გაიხსნა ფეიქართა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების კონგრესი. ესწრება 91 დელეგატი ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ჩეხო-სლოვაკიიდან, ბელგიიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ავსტრიიდან, ჰუნგრეთიდან, ჰოლანდიიდან, დანიიდან, პოლონეთიდან, და აგრეთვე ბადენის და რეიხენბერგის პროფკავშირების წარმომადგენლები. მოისმინა რა ჩვეულებრივი მისალმებანი კონგრესი შეუდგა „რუსეთის საკითხის“ განხილვას. გაერთიანების მდივანმა შოუმ გააკეთა მოხსენება ას საკითხის შესახებ და განაცხადა, რომ 1921 წ. პარიზის კონგრესზე განხილული იყო ეს საკითხი. საფრანგეთის დელეგატმა, საბჭოთა კავშირების სურვილისამებრ ამ კონგრესზე დააყენა საკითხი საბჭოთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანებაში მიღების შესახებ. ამის შემდეგ საბჭოთა პროფკავშირებს, შოუს სიტყვით, აღარაფერი არ განუცხადებიათ და მხოლოდ ამას წინად, მიღებულია წერილი, რომელშიაც საბჭოთა კავშირები მოითხოვენ, რათა საკითხი გადაჭრილ იქნეს არა გაერთიანების მდივნის, არამედ თვით გაერთიანების სურვილის თანახმად. შოუ აცხადებს, რომ მან 1921 წ. შეუფარდა თავისი მოქმედება გაერთიანების გადაწყვეტილებებს. გასულ პერიოდის განმავლობაში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა რეიხენბერგის პროფკავშირის წარმომადგენელმა როიერმა საერთაშორისო გაერთიანებაში წარმოადგინა წინადადება საბჭოთა კავშირების მიღების შესახებ საბჭოთა პროფკავშირმაც შემოიტანა განცხადება მისი მიღების შესახებ. და განაცხადა, რომ ის მზადაა დაემორჩილოს გაერთიანების წესდებას. საბჭოთა პროფკავშირის მიღება გაერთიანებაში მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ორივე ინტერნაციონალები შეთანხმდებიან. ამსტერდამის ინტერნაციონალის ვენის კონგრესმა განაცხადა, რომ იგი მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება პროფინტერთან, და ამით აღნიშნა, რომ საერთაშორისო გაერთიანებებმა თავიანთი სეპარატიული გადაწყვეტილებით ხელი არ უნდა შეუშალონ ამ მოლაპარაკებას. ამიტომ კომიტეტს შემოაქვს შემდეგი წინადადება: „საერთაშორისო გაერთიანებაში საბჭოთა პროფკავშირის მიღება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც ამსტერდამის ინტერნაციონალისა და პროფინტერნს შორის მიღწეული იქნება შეთანხმება და როდესაც პროფინტერნი შეუერთდება ამსტერდამის ინტერნაციონალს“.

კონგრესის სხდომები გრძელდება.

შვეციის კომპარტიაში

სტოკჰოლმი. 20 აგვისტო. ცეკას ხეგლუნდის უმრავლესობა კატეგორიულად უარჰყოფს კომინტერნის აღმასკომის დადგენილებას გაზეთ „პოლიტიკენ“-ის ხელმძღვანელობის სარედაქციო სამეულისათვის გადაცემის შესახებ. სამეულში შევლენ უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლები, ხეგლუნდის უმრავლესობამ დაადგინა აგრეთვე მახლობელ საპარლამენტო არჩევნებში წამოაყენონ პარალელური სიები იმ ოლქებში, სადაც პარლამენტის კანდიდატები დასახელებული არიან უმცირესობის მიერ.

„როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს უმცირესობის გამოჩენილმა წევრმა განაცხადა: „ხეგლუნდის პროვოკაციული გამოსვლა არასასურველ გავლენას მოახდენს საარჩევნო კამპანიაზე, მაგრამ ხეგლუნდის მიმდევართა ყოფა-ქცევამ კონგრესის შემდეგ აშკარად გახადა მათი დამოკიდებულება კომინტერნისადმი. პარტია მთლიანად ბევრს მოიგებს, თუ განთავისუფლდება იმ უხეშ მეშჩანობისაგან, რომელიც ახასიათებს ხეგლუნდის პოლიტიკას. **მთავარი ორგანიზაციები, პროვინციის მნიშვნელოვანი გაზეთები და ჭეშმარიტად რევოლიუციონური ელემენტები ერთგული დარჩებიან კომინტერნისადმი**“.

ხრიკები არ გაუვიდათ

პეკინი. 21 აგვისტო. კანტონში (ჩინეთი) განახლდა გაფიცვა, რადგანაც უცხოეთის ხელისუფლებამ დაარღვია შეთანხმება, რომლის მიხედვით გაფიცვის ყველა მონაწილეები, მათ შორის, პოლიციის მოსამსახურეებიც, მიღებული უნდა ყოფილიყვნენ წინანდელ სამსახურში. როდესაც პოლიციელები დაბრუნდენ ძველ სამსახურში, მათ წარუდგინეს ქაღალდები ხელის მოსაწერად და უთხრეს, რომ ისინი ხელს აწერენ ჯამაგირის მიღებაზე. შემდეგ გამოირკვა, რომ მათ თავისი საკუთარი ხელი მიაწერიეს მათ დათხოვნაზე. **როდესაც ეს სიყალბე გამოირკვა, მუშებმა კვლავ გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცვა ეხლა უფრო მწვავე ხასიათს ატარებს და მიმართულია ყველა უცხოელების წინააღმდეგ, გარდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისა.**

გერმანია ანტანტის ტყვეობაში

ერრიოს დეკლარაცია დეპუტატთა პალატაში

პარიზი. 22 აგვისტო. დეპუტატთა პალატაში ერრიომ გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია ლონდონის კონფერენციის შესახებ. მან განაცხადა, რომ მოლაპარაკების გამოსავალ წერტილს წარმოადგენდა საკითხი გერმანიისათვის 800 მილიონ ოქროს მარკის რაოდენობით სესხის მიცემის შესახებ. ეს სესხი უნდა ყოფილიყო არსებითად საფუძველი მომავალი თანამშრომლობისა მოკავშირეებსა და გერმანიას შორის.

შემდეგ ერრიომ განაცხადა, რომ თუ ომმა გააერთიანა მოკავშირეები, სამაგიეროდ მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებამ გამოიწვია უთანხმოება ცალკე სახელმწიფოთა ინტერესებს შორის. რომ ამ უთანხმოებას ბოლო არ მოღებოდა ლონდონის შეთანხმებით, უნაყოფო იქნებოდა ყოველგვარი შემდეგი ღონისძიებანი მოკავშირეების ერთმანეთთან დასაახლოვებლად.

თავის დეკლარაციაში ერრიო ამტკიცებს, რომ ლონდონში შემუშავებული შეთანხმება არც ერთი მხრით არ არღვევს ვერსალის ხელშეკრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არასოდეს არ მოაწერდა ხელს ამ შეთანხმებას.

შემდეგ ერრიომ ჩამოთვალა ყველა ის სარგებლობა, რომელსაც ღებულობს საფრანგეთი ნატურით მოწოდებიდან და გერმანიის მიერ თანხების გადაგზავნიდან.

რაც შეეხება რურის ევაკუაციას, მან ხაზგასმით განაცხადა, რომ ეს უმთავრესი საკითხი იყო კონფერენციაზე და მის გადაჭრაზე იყო დამოკიდებული სავსებით მთელი შეთანხმების ბედი. მის წინაშე იდგა ორი ამოცანა: ან ანტანტის აღდგენა, ან განცალკევებული მოქმედების გაგრძელება. მან აირჩია პირველი.

ერრიომ აღნიშნა აგრეთვე, რომ საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებ გაირჩევა ახალ კონფერენციაზე და რომ საფრანგეთის მთავრობის დელეგატი მიიღებს მონაწილეობას ერთა ლიგის მომავალ სესიაზე ორგანიზაციულ ზომების გასატარებლად გერმანიაზე მოკავშირეთა კონტროლის საკითხის შესახებ.

დასასრულ ერრიომ განაცხადა, რომ ლონდონის ხელშეკრულება—ეს პირველი ეტაპია იმ გზაზე, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ნამდვილ მშვიდობიანობამდე საფრანგეთის უფლებების დაურღვევლად. ლონდონის შეთანხმება გვაძლევს რეალურ გარანტიებს იმისა, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საფრანგეთის ბიუჯეტი.

კომფრაქციის პროტესტი

ბერლინი. 20 აგვისტო. სხვა ფრაქციების ლიდერებთან მოლაპარაკების შემდეგ, მარქსმა მიიღო კომუნისტური ფრაქციის წევრები რუტ ფიშერი, კაცი და შტეკერი. კომუნისტმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ენერგიულად იბრძოლებენ დოუესის გეგმის წინააღმდეგ. კომუნისტების წარმომადგენლები შეეკითხენ მარქსს: ფიქრობს თუ არა მთავრობა გაავრცელოს სეპარატისტებისათვის მინიჭებული ამნისტია პოლიტიკურ პატიმრებზედაც და თანახმაა თუ არა მთავრობა ხელახლა მიანიჭოს კომუნისტურ გაზეთებს თავისუფლება, რათა საშუალება მიეცეს მათ იმსჯელონ ლონდონის შეთანხმების გარშემო. **კომუნისტების წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს კლასიურ იუსტიციის და კომპარტიის და კომუნისტურ პრესის სისტემატიურ დევნის წინააღმდეგ.** (აკრძალულია 9 კომუნისტური გაზეთი) მარქსმა მიკიბულ-მოკიბული ფრაზებით უპასუხა კომუნისტების წარმომადგენლებს, რის შემდეგ კომპარტიის წარმომადგენლებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს და შესწყვიტეს მოლაპარაკება.

აჯანყება ავღანისტანში

ლონდონი, 22 აგვისტო. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ავღანისტანში მოხდა აჯანყებულთა გამოსვლა. აჯანყებულ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც თავმოყრილი არიან ხოსტის რაიონის სამხრეთ ნაწილში, შეუერთდენ აჯანყებულები მეზობელ რაიონებიდან. გაერთიანებულმა ჯგუფმა დაიკავა ერთ-ერთი საფოსტო გზა ქაბულიდან სამხრეთით. გასასვლელი კიბერი არ არის დაკავებული და ცნობები იქიდან განუწყვეტლივ მოდის.

ემირი დაბრუნდა ქაბულში, რათა უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს მოძრაობის წინააღმდეგობას.

ზოგიერთ გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ აჯანყებულებთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ ინგლისის აგენტებს, ლონდონის ოფიციალურ წრეებში არ უარყოფენ.

ბრიტანეთის მთავრობას და ავღანისტანის მთავრობას, ოფიციალურ წრეების ცნობით, სავსებით მეგობრული განწყობილება აქვთ ეხლანდელ ემირთან.

ლონდონი. 23 აგვისტო. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი ალაგამადიდან იტყობინება, რომ **გრძელდება აჯანყება ეხლანდელი ემირის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო სამხრეთ ავღანისტანში.**

ლონდონში მიღებული ცნობების მიხედვით, აჯანყებულებმა დაიკავეს ინდოეთში გასასვლელი მთავარი ადგილი ალტიმური. აჯანყებულებს მეთაურობს ყოფილი ემირის აბდულ კერიმ-ხანის შვილი.

ერთიანი ფრონტისათვის

მასები თავს აღწევენ რეფორმისტების გავლენას.

მოსკოვი. 22 აგვისტო. პროფინტერნის გენერალური მდივნის მოადგილემ, „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს, განაცხადა: **სამთომადნო მრეწველობის მუშათა საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც შესდგა პრაგაში ამა წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში,** დაამტკიცა რეფორმისტულ ბელადების უილაჯობა და უმწეობა. არ არის არც ერთი ცოცხალი სიტყვა, რომელიც მოწმობდეს იმას, რომ ეს ბელადები თუნდაც ერთი წუთით უფიქრდებოდენ კაპიტალის შემოტევას, მუშების მდგომარეობას, რეპარაციებს, ახალი ომის შესაძლებლობას და თავიანთ დაუსრულებელ ღალატს მუშათა კლასის წინაშე.

სამთო-მადნო მუშების კონგრესი პრაგაში—ეს ერთიანი ფრონტია ყველა მემარჯვენე რეფორმისტულ ბელადების მუშათა ფართო მასების წინააღმდეგ. **კონგრესმა გაეკეთა ყველაფერი იმისათვის, რომ ჩაეხშო რევოლიუციონურ სამთომადნო მუშების მოთხოვნილებები ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.** რეფორმისტული გაერთიანება საბოტაჟით უპასუხებდა საბჭოთა კავშირის სამთომადნო მუშების მოთხოვნილებებს და სამთომადნო მუშების საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის წინადადებას ყველა სამთომადნო მუშებთან გაერთიანების შესახებ. პირიქით, ტრანსპორტის მუშათა რეფორმისტული ფედერაციის მეოთხე კონგრესი, რომელიც შესდგა ჰამბურგში იმავე აგვისტოს დასაწყისში, ჩატარდა მღელვარეთ, კონგრესზე მოხდა ბრძოლა ამსტერდამის ინტერნაციონალის—მემარჯვენე და მემარცხენე ფრთებს შორის ფედერაციაში რევოლიუციონურ პროფკავშირების მიღების და რეპარაციების საკითხების შესახებ. **ბრძოლა დამთავრდა მემარცხენე ფრთის ნაწილობრივი გამარჯვებით.** ინგლისის ტრანსპორტის მუშების საქციელი ყრილობაზე გამოწვეული იყო პროლეტარიატის იმ ფართო მასების ზეგავლენით, რომლებიც თანაუგრძნობენ რუსეთის მუშებს. ტრანსპორტის მუშების ფედერაციის მემარცხენე ფრთა სარგებლობს დიდი სიმპატიით ტრანსპორტის მუშების განსაზღვრულ წრეებში.

რევოლიუციონური სამთომადნო მუშები უნდა ცდილობდენ სამთომადნო მუშათა მასების გაერთიანებას წარმოებებში გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ ტრანსპორტელების ამოცანას შეადგენს ტრანსპორტის მუშების ემმარცხენე ფრთის ჩამოყალიბების დაჩქარება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ლაპარაკი მარსთან

ბერლინი. 22 აგვისტო. ამერიკის ფიზიკოსი სოდი შეუთანხმდა ამერიკის ყველა რადიო-სადგურებს, რათა ამ უკანასკნელებმა 30 საათის განმავლობაში ყოველი საათის შემდეგ შესწყვიტონ მუშაობა 5 წუთით რომ ამით საშუალება მიეცეს მას რადიო-ნიშნები მიიღოს მარსიდან. ეს შეთანხმება ძალაში შედის დღეს, შაბათს, 23 აგვისტოს ღამის 12 საათიდან.

რიგი რეიხსტაგზეა

ბერლინი. 22 აგვისტო. გერმანიის საიმპერიო საბჭომ მიიღო სამი მნიშვნელოვანი დადგენილება დოუესის გეგმის ცხოვრებაში გატარების შესახებ. დადგენილება შეეხება ახალ საალრიცხვო ბანკის გახსნას, საწარმოვო ობლიგაციებს და იმპერიის რკინის გზის საზოგადოების წესდებას. საიმპერიო საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე ლონდონის კონფერენციის დადგენილებები. ამნაირად უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის რეიხსტაგს.

სოციალისტების მოთხოვნა

ბერლინი. 22 აგვისტო. სოციალისტებმა გამოიტანეს რეზოლიუცია რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ვერ შეძლებს ორი მესამედი ხმის მიღებას, სოციალ-დემოკრატების ორგანო „ფორვერტსი“ ფიქრობს, რომ დღევანდელი მომენტი მეტად ხელსაყრელია ახალი არჩევნებისათვის. გაზეთი არჩევნების ახალ დღეთ ასახელებს 21 სექტემბერს.

მემარცხენე ბლოკის უმრავლესობა

პარიზი. 22 აგვისტო. მას შემდეგ, რაც დეპუტატთა პალატამ მოისმინა ერრიოს მოხსენება ლონდონის კონფერენციის მუშაობის შესახებ— პუანკარეს ჯგუფის წარმომადგენელმა ბოკანოვსკიმ წინადადება შეიტანა გადადებულ ყოფილიყო კამათი მოხსენების გარშემო. ეს წინადადება უარყოფილ იქნა 320 ხმით წინააღმდეგ 209-სა. დღეს დილით დაიწყო კამათი.

კრიზისი

პარიზი. 22 აგვისტო. იხილავს რა გერმანიაში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას—გაზეთი „ფოსსოვა გაზეტა“ სთვლის, რომ მთავრობამ [illegible] ან დაითხოვოს რეიხსტაგი, ან მოაწყოს სახალხო რეფერენდუმი სპეციალურად ექსპერტთა გეგმის შესახებ. „ფორვერტსი“-ც ფიქრობს, რომ დღევანდელ პარლამენტში მუშაობა შეუძლებელია. გაზეთის სწორი გამოკვლევით, მთავრობის უმრავლესობა შეადგენს 265 ხმის წინააღმდეგ 201-სა.

სხვა და სხვა ამბები

— **მეტეოტის დასაფლავება.** რატტა პოლეზინაში (იტალია) დიდძალი ხალხის და პარლამენტის დელეგაციის თანდასწრებით მოხდა ფაშისტების მიერ მოკლულ დეპუტატის მატეოტის დასაფლავება.

— **თავდასხმა სამხედრო ატაშეზე.** სოფიაში (ბულგარეთი) მოკვლის მიზნით თავს დაესხნენ სამხრეთ-სლავიის სამხედრო ატაშეს—მალიკოვიჩს. სამხრეთ სლავიის მთავრობა ბულგარეთიდან მოითხოვს სასტიკ გამოძიებას.

— **„მეგობრები“.** ხელი მოაწერეს რუმინეთის და უნგრეთის სავაჭრო ხელშეკრულებებს.

— **რევოლიუციონერების გამოსვლა.** ლისაბონში (პორტუგალია) ხუთშაბათს ღამით პორტუგალიის რევოლიუციონერებმა მოაწყვეს გამოსვლა. მათ ბომბები დაუშინეს ზოგიერთ სახელმწიფო სახლებს და მიიმალნენ.

— **სიცივე საფრანგეთში.** თითქმის მთელ საფრანგეთში ამ ბოლო დროს აცივდა. ოთხშაბათს პარიზში ექვსი გრადუსი სიცივე იყო.

— **ვრანგელის წინააღმდეგ.** სერბიის გლეხთა პარტიამ შეკითხვა შეიტანა პარლამენტში იმის შესახებ, თუ როდის იქნება გაძევებული ვრანგელიო.

— **სიმშილობა,** გალიციაში დიდ მოუსავლობას აქვს ადგილი. დაილუპა თითქმის მთელი პური. გლეხობას სათესლედ სჭირდება 2 ათასი ვაგონი ხორბალი.

— **მექსიკის პრეზიდენტი გერმანიაში.** ჰამბურგში ჩავიდა მექსიკის ახლად არჩეული პრეზიდენტი კალლესი, რომელსაც „მექსიკის ლენინს“ უწოდებენ. ის არჩეულია მშრომელთა მიერ.

— **ხესხის გარანტია.** დანიის პარლამენტმა ერთხმად მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმად თვით სახელმწიფო იძლევა საბჭოთა კავშირს კრედიტის გარანტიას დამარილებულ თევზის შეძენის დროს.

— **გამოფხიზლება** ჰუნგრეთის გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს ინგლისის საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების უდიდეს მნიშვნელობას; გაზეთების აზრით, ეს ხელშეკრულება საშუალებას აძლევს საბჭოთა კავშირის ხელახლა დაიკავოს დიდი სახელმწიფოს მდგომარეობა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულებას აქვს დიდი მნიშვნელობა ჰუნგრეთისათვის, საბჭოთა კავშირის და რუმინეთის კონფლიქტის გამო ბესარაბიის საკითხში.

— **„დაკარგვის“ ეშინიათ.** მარქსი და შტრეზემანი დეპეშებით მოითხოვენ, რათა რეიხსტაგმა მიიღოს სარეპარაციო კანონპროექტები და აცხადებენ, რომ თუ ეს კანონპროექტები უარყოფილ იქნა, გერმანია დაჰკარგავს იმ „სარგებლობას“, რომელსაც მას ანიჭებს ლონდონის შეთანხმება. ამ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება მოკავშირეებთან მოლაპარაკების განახლება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ტრანსპორტის ელექტროფიკაცია

მოსკოვი. 22 აგვისტო. გზათა სახალხო კომისარი შეუდგა 5 წლის გეგმის შედგენას ტრანსპორტის ელექტროფიკაციისათვის.

284 სახლი მუშებს

დონის როსტოვი. 22 აგვისტო. როსტოვის მუშათა რაიონებში გამოყოფილია: ლენინსკში—147, ნახიჩევანში-187 სახლი შესაკეთებლად და მუშებისათვის გადასაცემად.

ციფრები მოსკოვის შესახებ

მოსკოვი. 22 აგვისტო, მოსკოვის მცხოვრებთა რაოდენობა გაიზარდა 1913 წელთან შედარებით 1,700,000 დან 1.800,000-დე, ხოლო სიკვდილიანობა შემცირდა 34 პროცენტით. სიკვდილიანობა საბავშვო გადამდებ სნეულებებით და ეპიდემიით შემცირდა ორჯერ.

ბრძოლა მოუსავლიანობის შედეგების წინააღმდეგ

მოსკოვი. 22 აგვისტო. იმ 8 მილიონ მანეთიდან, რომელიც გადაიდო მოუსავლიანობის შედეგებთან ბრძოლის კომისიამ საქონლის გამოსაკვებად მოუსავლიან რაიონებში, ცენტრალურმა სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაგზავნა ადგილებზე 16 აგვ. 3,500,000 მ. თანხები განაწილებულია უკრაინის, ვორონეჟის გუბერნიის, ნემრესპუბლიკის, სამარის გუბერნიის, სტავროპოლის, ცარიცინის, ასტრახანის, კალმიკის ოლქების, სტავროპოლის გუბერნიის, ურალის ოლქის და სამხრეთ-აღმოსავლეთის დაზარალებულ რაიონებს შორის.

ქ. იაროსლავლის 900 წლის თავი.

მოსკოვი. 22 აგვისტო. მთავარ სამეცნიერო სამმართველოს სამუზეიმო განყოფილება ემზადება ქ. იაროსლავლის 900 წლის იუბილესათვის 1924 წ. 14 სექტემბერს.

უკრაინა

ტუბერკულიოზთან ბრძოლა საბჭოთა კავშირში

ხარკოვი. 22 აგვისტო. სრულიად საკავშირო სატუბერკულიოზო ყრილობაზე იტალიის პროფესორმა ფერრანინიმ „რატაუს“ კორესპონდენტს აცნობა, რომ მან მიიღო საუკეთესო შთაბეჭდილება ტუბერკულიოზის სანატორიუმების, ტუბერკულიოზის ინსტიტუტის, დისპანსერების და საბავშვო სახლების დათვალიერების დროს, ფერრანინიმ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის დისპანსერების მნიშვნელობა და ამოცანები უფრო ფართოა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც დისპანსერები ემსახურებიან მხოლოდ სამკურნალო მიზნებს. საბჭოთა კავშირში ისინი აწარმოებენ სოციალურ-პროფილაქტიურ მუშაობას და ატარებენ ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო ზომებს ქარხანა-ფაბრიკებში და სოფლად.

ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

მოსკოვი, 22 აგვისტო. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ნიჟეგოროდის ბაზრობაზე ამხ. ფირსოვმა, „როსტას“-თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბაზრობაზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ უცხოეთის (დასავლეთის და აღმოსავლეთის) მსხვილი შერეული საზოგადოებები, რომელთაც აქვთ გასასყიდი ტეხნიკური ნაწარმოები, ლითონები, მანქანები, ქიმიური საქონელი და სპარსული წვრილმანი ნივთები. ისინი ყიდულობენ საექსპორტო ნედლეულს —ბეწვეულს, ცხენის ძუას და ჯაგარს. საზოგადოებების გამოსვლას ხელმძღვანელობს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი. სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებენ მხოლოდ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო და კოოპერაცია, რომელთაც მიეცემათ კრედიტები.

ბაზრობის ძირითად მომენტად საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი სთვლის საქმიანი კავშირის განმტკიცებას უცხოეთის და უმთავრესად აღმოსავლეთის ვაჭრებთან.

ჩვენი კავშირი სოფელთან

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 22 აგვისტო. „პრავდა“ მოწინავე წერილში სწერს:

„მოუსავლიან ადგილებიდან მოსული უკანასკნელი ცნობები ამტკიცებენ, რომ მოუსავლიანობასთან ბრძოლის ამოცანებს ჩვენ შევასრულებთ უფრო უკეთესად, ვიდრე ამას ვფიქრობდით. ძალიან ძნელი ამოცანა— მოკლე ხნის განმავლობაში ხორბლის დამზადება, გადმოტვირთვა, განაწილება და ადგილებზე გადაზიდვა— ამჟამად შესრულებულია 90 პროცენტით. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ნათესების არე არ მცირდება იმ ადგილებშიაც კი, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდენ მოუსავლიანობისაგან. პირიქით, ყველგან სცდილობენ გააფართოვონ ნათესების არე. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა არა მარტო განვამტკიცოთ ასეთი განწყობილება, არამედ გამოვიყენოთ მომენტი პროპაგანდის საწარმოებლად სამელიორაციო ზომების გავრცელების შესახებ; ჩვენ ვიცით, რომ ასეთმა ზომებმა საცდელ მინდვრებზე მოგვცეს საკმაოდ დიდი მოსავალი, გვალვით გადამწვარ მინდვრების გვერდით.

მესამე ამოცანაა—შევინარჩუნოთ ოთხფეხი საქონელი მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ ადგილებში— აგრეთვე შეიძლება იქნას შესრულებული მთავრობის მიერ გადადებულ საშუალებებით. ადგილებზე წარმოებულ მუშაობაში მიზიდული უნდა იქნენ ყველა აგრონომიული ძალები, გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებები და მასწავლებლობა. ფეხზე უნდა დადგენ ყველა საბჭოთა, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, საქმეში ჩაბმული უნდა იქნან კოოპერატივები. მოუსავლიან ადგილების გლეხები არ ეცემიან სულით. ისინი გრძნობენ, რომ საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ არა თუ თავის დროზე შენიშნეს ეს საფრთხე, არამედ სცდილობენ გაუწიონ მათ დახმარება და თავიდან აიცილონ საშიშროება მომავალში. აი ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოუსავლიანობასთან ამ ბრძოლამ უნდა განამტკიცოს ჩვენი პარტიის კავშირი სოფელთან, განამტკიცოს მისი გავლენა“.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკა

ოდესა. 22 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში საგუბერნიო აღმასკომში შემოვიდა დნესტრის ახლო მდებარე სოფლების ყრილობათა განცხადებანი მოლდავის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. სლობოძეის სოფლის ყრილობამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ათას კაცამდე, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მიმართავს საბჭოთა კავშირის ყველა მოლდაველებს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველა ერებს შეუძლიათ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება ეროვნული სურვილების მიხედვით. სოფლელები ითხოვენ დაჩქარებულ იქნას გადაწყვეტილების გამოტანა მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ; ამგვარი რეზოლიუციები შემოვიდა სხვა სოფლებიდანაც, სადაც მოლდაველები სჭარბობენ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

ხოხუმი. 22 აგვისტო. სამურზაყანოს მაზრაში ამ ზაფხულზე გაჩნდენ ბევრი მგლები, რომლებიც დღისითაც თავს ესხმიან ოთხფეხა საქონელს და ადამიანებს. ყოველთვიურად საშუალოთ მგლები იტაცებენ 200 სულ საქონელს.

ხილის მოსავალი

ხოხუმი. 22 აგვისტო. ადგილობრივ ბაზარზე დიდძალი საზამთრო, ნესვი და სხვა ხილი იყიდება; ფასები ძალიან დაკლებულია.

აზერბეიჯანი.

ახალი შადრევანი.

ბაქო. 22 აგვისტო. ლენინის რაიონის პირველ ჯგუფში № 2 სამრეწველომ დაიწყო მოქმედება ახალმა შადრევანმა. შადრევანის ძალა ჯერ არაა გამორკვეული.

საჰაერო მიმოსვლა ბაქო-ნიჟნის შორის

ბაქო. 22 აგვისტო. ჩამოვიდა გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ბაქოს ნავთსადგურის და ჰიდრო სადგურის დასათვალიერებლად პავლიჟევსა და ბაქოს შორის საჰაერო მიმოსვლის მოსაწყობად. დათვალისწინებულ გეგმის მიხედვით ჰიდრო პლანებით გადატანილი იქნება ფოსტა, გადაყვანილი იქნებიან მგზავრები.

ბაქო-ნიჟნის შორის მიმოსვლა იწარმოებს 2 დღე და ღამეში, ბაქო-ასტრახანს შორის—ერთ დღეში.

სომხეთი

სომხეთის წარმომადგენელი.

ერევანი. 22 აგვისტო. საერთაშორისო კოოპერატიულ ყრილობაზე დასასწრებლად გენტში გაემგზავრა სომხეთის („აიკოპ“-ის) წარმომადგენელი, მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ერზიკიანი.

ემზადებიან ავიაციის დღისათვის.

ერევანი. 22 აგვისტო. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმი ზომებს იღებს იმისათვის, რომ ავიაციის დღისათვის მზად იყოს ჰაეროპლანი „ხორურდაინ აიასტან“. ამ დღისთვის გამოშვებული იქნება ლიტერატურა ავიაციის საკითხების შესახებ, ქალაქებში და მაზრებში მოეწყობა ლექციები, გამოცემული იქნება გაზეთი, მიძღვნილი ავიაციის დღისათვის.

დელიჟანში საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებამ მოაწყო საღამო ავიაციის სასარგებლოდ. საღამოზე შემოვიდა 800 მანეთი.

პარტიაში მიღება.

ერევანი. 22 აგვისტო. კარაკლისში ჯარების ნაწილებში დაიწყო ახალი კანდიდატების მიღება და კანდიდატების პარტიაში გადაყვანა. შეტანილია ასი განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

ფიზიკური კულტურა.

ერევანი. 22 აგვისტო. ეჩმიაძინის აღმასკომმა მისცა ფიზკულტურის საბჭოს 300 მანეთი სპორტის მოსაწყობად და სათანადო მოწყობილობის და ტანთსაცმელების შესასყიდათ.

პარტიული ცხოვრება

ს. ა. ლ. კ. კ. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

მეათე საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის ჩატარების შესახებ

ამხანაგებო! პირველი კვირა დღე სექტემბერში ყოველ წლიურათ, ს. ს. რ. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გამოცხადებული რის სახელმწიფო უქმე დღეთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ახალგაზრდობისათვის.

ეს დღე ახალგზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის დადგენილებით გამოცხადებულია საერთაშორისო ახალგაზრდობის დღესასწაულად. ამ დღეს მსოფლიო მშრომელი ახალგაზრდობა ზვერავს თავის რიგებს და ამზადებს მას კაპიტალიზმისაგან მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლებისათვის: ბრძოლისათვის კომუნისტური კავშირის—ახალგაზრდობის ერთ-ერთ წინამძღოლის და ავანგარდის ხელმძღვანელობით ამ დღეს მშრომელი ახალგაზრდობა მსოფლიო მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილით გაჟღენთილი იარაღს ისხამს საერთაშორისო ჩაგვრის, მონობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მე-10-ე საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე არა შემთხვევით ხვდება მსოფლიო იმპერიალისტურ ომის ათი წლის თავს: საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე აღმოცენდა ისტორიულათ, როგორც საპროტესტო დღე მუშათა ახალგაზრდობისა ომის წინააღმდეგ.

საერთაშორისო ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიაში მთავარი როლს თამაშობდა დასავლეთ ევროპის ახალგაზრდობის კავშირები ომის დროს, დიდი ბელადის ამხ. ლენინის და ლიბკნეხტის ხელმძღვანელობით.

დასავლეთ ევროპის პროლეტარულ ახალგაზრდობამ ამ დიდი ბელადების ხელმძღვანელობით პირველად დაიწყო ბრძოლა იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ 1915 წელში საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის დაარსებით. 10-ი წლის განმავლობაში ამ დღის ბრძოლის ლოზუნგები თანდათან იცვლებოდა ისტორიულ პირობების ცვალებადობასთან ერთად, მაგრამ ლოზუნგი—ბრძოლა მილიტარიზმთან, ბრძოლა მოსალოდნელი ომების წინააღმდეგ—ყოველთვის ერთი და იგივე არის და დარჩება მანამდე, სანამ რევოლიუციონური პროლეტარიატი საბოლოოთ არ მოსპობს კაპიტალისტურ ქვეყანას. მე-10-ე საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე დასავლეთ ევროპაში ტარდება შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: დიდი ბელადის ამხ. ლენინის ანდერძის შესრულება და მებრძოლი ბოლშევიზმის იდეებით გაჟღენთა ახალგაზრდობის.

ბრძოლა მოსალოდნელი იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.

ბრძოლა კაპიტალის რეაქციის, ფაშიზმის და ბურჟუაზიის აგენტის სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის შეიარაღება. საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის ახალგაზრდობის ლოზუნგები უნდა იქნას: ძმური დახმარება დღეს რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩაბმულ ევროპის და აღმოსავლეთის ახალგაზრდობას.

ბრძოლა მოსალოდნელი ომის წინააღმდეგ. ბრძოლა ფაშიზმის და ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთის სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც თანდათან იხრწნება სოციალისტური რევოლიუციის ორომტრიალში.. იმპერიალისტური ომის გამანადგურებელი ძალის—წითელი არმიის ყველა ახალგაზრდა მუშების, მუშა ქალების და ღარიბ გლეხკაცობის— ახალგაზრდა ლენინელთა კავშირში დარაზმვა,—ახალი კომუნისტური სოფლის შენება და მუშათა კლასის დიდი დაბრკოლების, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა.

მე-10—საერთაშორისო დღე ტარდება ულენინოთ. ამ დღეს ერთ-ერთ დიდ ლოზუნგათ უნდა შეიქმნას ლენინიზმის იდეებით—მებრძოლი ბოლშევიზმით მთელი ახალგაზრდობის შეიარაღება.

წელს დღესასწაული გაიმართება 7 სექტემბერს. ამ დღის წარმატებით ჩატარებისათვის ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა ადგილებს აძლევს შემდეგ დირექტივებს: 1-დან 7 სექტემბრამდე ქალაქად ჩატარებული უნდა იქნეს მოსამზადებელი მუშაობა შემდეგი წესით: კომკავშირის და კომპარტიის უჯრედებში (აგრეთვე კლუბების საშუალებით) ჩატარებული უნდა იქნას მოხსენებები შემდეგ თემაზე. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი—მე-4-ე კონგრესის დადგენილების მიხედვით და „საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის ისტორიის და მის მნიშვნელობის შესახებ“.

მოხსენებები ჯერ წაკითხულ უნდა იქნას პროფკოლექტივების სხდომებზე და შემდეგ გადატანილი იქნენ უჯრედებში, ყველა წრეებში, კლუბებში, (კომკავშირის, კომპარტიის, პროფკავშირების, ბავშვთა კომჯგუფების და სხვა). ამ კვირის განმავლობაში სისტემატიურად უნდა მიმდინარეობდეს საუბრები დღესასწაულის შესახებ. კრებებზე მოწვეული უნდა იქნას უპარტიო ახალგაზრდობაც.

კლუბებში გამართული უნდა იქნას საღამოები რევოლიუციონური პიესების დადგმით, მოხსენებებით, მოგონებების წაკითხვით და სხვა, რისთვისაც უნდა გამოიყენონ კომკავშირის და კომპარტიის ძველი აქტიური წევრები. ამ კვირის განმავლობაში დღესასწაულის დამთავრებამდე უნდა მოხდეს გამოფენა კომკავშირის ყველა მიღწევებისა, გამოცემული უნდა იქნას სპეციალური ნორმები კედლის გაზეთების და სხვა.

დღესასწაულს უნდა დაუკავშიროთ აგრეთვე გახსნა კლუბების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკების ახკორების წრეებისა და სხვა. 7 სექტემბერს ყველა ქალაქებში, სამაზრო და სარაიონო ცენტრებში მოწყობილი უნდა იქნას კომკავშირის დემონსტრაციები უპარტიო ახალგაზრდობასთან, ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციებთან და შესაძლებლობის ფარგლებში წითელ არმიასთან ერთად. ამავე დღეს მოწყობილი უნდა იქნას სპორტიული შეჯიბრებანი თვალსაჩინო ადგილებზე, როგორც ფიზკულტურის წრეების, ისე ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების.

წელს მეათე საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე სოფლად ჩატარებული უნდა იქნას წარმატებით, ამიტომ წინასწარ სოფლის ყველა უჯრედებში ღია კრებებზე, ქოხსამკითხველოებში, კლუბებში, ახალგაზრდობის კრებებზე, ჩატარებული უნდა იქნას შინაარსიანი მოხსენებები, საუბრის სახით დღის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებულ ლოზუნგათ სოფლად უნდა შეიქნას ბრძოლა მოსალოდნელი ომის წინააღმდეგ, ლენინის იდეების გავრცელება, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან და სხვა. 7 სექტემბერს ქალაქის ორგანიზაციებმა (შეფებმა) უნდა გაგზავნონ მომხსენებლები სოფლად დღესასწაულის წარმატებით ჩატარებისთვის. აგრეთვე სოფლიდან ქალაქებში მოწვეული უნდა იქნას გლეხური ახალგაზრდობის დელეგატები.

ცეკა წინადადებას აძლევს ამხანაგებს დაუკავშირდენ ადგილობრივ კომიტეტებს, პარტიულ პროფესიონალურ და სამხედრო ორგანიზაციებს. დღესასწაულის ჩასატარებლად ყველა ოლქკომებთან და მაზრკომებთან მოწყობილ უნდა იქნას კომისიები.

ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივანი კეკელია

საგიტ. საპროპ. განყ. გამგე: **ძიგრაშვილი.**

პარტიაში მოდიან

საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომის აღრიცხვა-სტატისტიკური განყოფილება აქვეყნებს იმ ამხანაგების სიას, რომელთაც სურთ საქართველოს კომპარტიის რიგებში შესვლა. ლენინის რაიკომი სთხოვს როგორც პარტიულ ამხანაგებს, ისე უპარტიო მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ მამხილებელი საბუთები ამ ამხანაგების შესახებ, აცნობონ წერილობით 3 დღის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომს (ჩერქეზიშვილის ქ. № 145). ანონიმური გამხილებელი საბუთები არ იქნება განხილული. იმ პირებმა, რომლებსაც შემოაქვთ საბუთები, ხელი უნდა მოაწერონ გარკვეულად და აღნიშნონ მათი მისამართი.

1) ქუთათელაძე ვლადიმერი, 2) ერაძე ვლადიმერი, 3) [illegible] მიხეილი 4) მარკარიანი ვართან, 5) გაშიძე დავითი, 6) მიქაძე სევერიანი, 7) ბეგიაშვილი სერგო, 8) იორდამიძე ივანე, 9) გნუსაშვილი ნინა, 10) ბარსკი ვლადიმერი, 11) ბახტაძე ალექსანდრე, 12) მეფარიშვილი მიხეილი, 13) ხუდიაკოვი ნიკოლოზ, 14) აფხაზიშვილი მიხეილ, 15) ესიაშვილი ნიკოლოზი, 16) ჩერვიაკოვი პეტრე, 17) გოგელია ალექსანდრე, 18) ნაკერთაძე კირილე, 19) პელიძე სილიბისტრო, 20) მგალობლიშვილი სოლომონი, 21) კოკაშვილი დიმიტრი, 22) ლამბუშანოვი ივანე, 23) ელისაშვილი მიხეილ, 24) თარხანოვი სერგო, 25) მჭედლიშვილი გიორგი, 26) სიდამონიძე გიორგი, 27) თუმანოვი დავითი, 28) ნათაძე ნიკოლოზ, 29) ელიევი ვლადიმერი, 30) გოჯერაშვილი გიორგი, 31) კარპოვი რომანი, 32) მამასახლისშვილი გიორგი, 33) ლისენკო იოსები, 34) ლევჩენკო ნოე, 35) პანტურია კონსტანტინე, 36) კოპლატაძე თამარა, 37) დალაქიშვილი შალვა, 38) რომაშვილი ეკატერინე, 39) ნოზიკაშვილი ოგანეზ, 40) გერსამია ერმილე, 41) დანთიევი ადამი, 42) ლალაშვილი შალვა, 43) მარგალიტაძე ნესტორ, 44) გოგიჩიშვილი ნიკირტიჩ.

ლენინის რაიკომის აღრიცხვა-სტატისტიკური განყოფილება.

ეკონომიური ცხოვრება

მანუფაქტურას განაწილება

ავგისტოს დასაწყისში ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატთან მოეწყო კომისია მანუფაქტურის განაწილების გეგმის შესადგენად. ცენტრის მიერ სულ ა.-კავკასიისთვის გადადებული 33 ვაგონი მანუფაქტურა ამ რიცხვიდან აზერბეიჯანისათვის დანიშნულია 17 ვაგონი, საქართველოსათვის 13 და სომხეთისათვის 3 ვაგონი.

შემჩნეულია, რომ საფეიქრო სინდიკატს მანუფაქტურა ამ ნორმაზე მეტი შემოაქვს. უკანასკნელ ხანებში გახშირდა აგრეთვე შემთხვევები, რომ ზოგიერთ სავაჭრო ორგანოებს მიაქვთ საქონელი ნორმაზე იმდენად მეტი რომ გასაღების უნარი არ შესწევთ. ვინაიდან ორგანოებს არ აქვთ გამანაწილებელი დუქნების საკმაო რაოდენობა და არ შესწევთ ღონე გაასაღონ განსაზღვრულ ნორმაზე მეტი მათ მაინც მიაქვთ საჭიროებაზე მეტი, რის გამოც საქონელი დიდხანს გაუსაღებლად აწყვია მაღაზიებში.

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად კომისიამ უკვე გამოიმუშავა განაწილების გეგმა, რომელიც შეფარდებულია სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების უნარიანობასთან საქონლის გასაღების საქმეში კოოპერატიულ ორგანიზაციების წევრთა რაოდენობასთან, გასასაღებელი დუქნების რიცხვთან და სხვა. გამომუშავებული გეგმა უკვე წარედგინა შინავაჭრობის სახ. კომის. კოლლეგიის დასამტკიცებლად.

მარილი ამიერ-კავკასიისათვის.

შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა უკვე განიხილა გეგმა მარილის შემოზიდვისა ა | კ. ფედერაციაში—მიმდინარე სანავიგაციო წლისათვის. გამორკვეულია მარილის რაოდენობა, რომელიც უნდა შემოიზიდოს ა | კავკასიაში ზღვით.

აფხაზეთის თამბაქო გერმანიაში.

აფხაზეთიდან გერმანიაში გაგზავნილი 6000 ფუთი თამბაქო უკვე ჩავიდა ბერლინში, ა | კ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომის. ბერლინელი წარმომადგენელის ცნობით ეს თამბაქო განაღდებამდე მოთავსებულ იქნება როტტერდამის (ჰოლანდიაშია) საწყობებში.

ღვინის საწნეხების შეკვეთა საფრანგეთ.

ა | კ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ა.-კ. მეღვინეთა კოოპერატივების ჩატარებისათვის საფრანგეთში შეუკვეთა ყურძნის საწნეხი პრესები.

სალაბარატორიო ხელსაწყოები „ზაჰესი“-სათვის.

„ზაჰესი“-ს შეკვეთა სიმენსსა და შუკ. კერტის ფირმის სალაბარატორიო ხელსაწყოების და აპარატების შესახებ ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის მიერ გადაეცა გერმანიის სავაჭრო წარმომადგენლობას.

ა | კ საგარეო ვაჭრობის სამმართველო ბერლინის გამოფენაზე

ა | კ. საგარეო ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენელი მოწვეულია 26 სექტემბრისათვის ბერლინში დანიშნულ საავტომობილო გამოფენაზე, რომელსაც აწყობს გერმანიის საავტომობილო მრეწველობის კავშირი. გამოფენაზე მოცემული იქნება სრული სურათი გერმანიის დღევანდელი საავტომობილო მრეწველობისა.

სპილენძის ახალი მდიდარი მადანის აღმოჩენა

ამ დღეებში ინჟ. ლიპშტეინმა, გევორკოვმა, სმირნოვმა და პოლოსიანმა აღმოაჩინეს სომხეთში მეგრი—ორდუბატის რაიონში ახალი მადანი, რომელიც შეიცავს სპილენძის დიდ პროცენტს. წმინდა სპილენძი უდრის 18—20 პროცენტს. რუსეთის და სომხეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს განზრახული აქვთ შეუდგენ ამ მადანის ექსპლოატაციას.

წმინდა მოგება ამ ექსპლოატაციიდან წლიურად იქნება 6 მილიონი მანეთი. ცენტრალური რაიონის ელექტროტრესტს განზრახული აქვს გადასდოს ამ საქმისათვის 2 მილიონი მანეთი.

პური და შაქარი საქართველოსათვის

3 მილიონი ფუთი პური

ამიერ კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატში ჩვენ თანამშრომელს ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოსათვის პურის მიწოდების შესახებ აცნობეს შემდეგი:

ამჟამად ამიერ-კავკასია უზრუნველყოფილია პურით ჩრდილოეთ კავკასიიდან ახლად მოსულ პურის ჩამოტანამდე. პურის გადმოზიდვა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, მომავალ სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 8.700.000 ფუთი პური. ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატი გაანაწილებს ამ პურს ცალკე რესპუბლიკებს შორის. პურს შემოიტანს „ხლებოპროდუქტი“ სახ. ბანკი, ცენტროკავშირი და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

კერძოთ საქართველოს დათმობილი აქვს 3.100.000 ფუთი, აქედან დაკმაყოფილებული იქნება ქ. თბილისის ყოველთვიური მოთხოვნილება (150 ვაგონი)

მთელი პური საქართველოში განაწილებული იქნება კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის, უმთავრეს პროვინციის პირველ საფეხურის იაჩეიკების საშუალებით.

რაც შეეხება ფასებს, ახალ მოსავლის პურის შემოტანის და დამზადების ფასების მიხედვით შინ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი შეიმუშავებს ახალ ნიხრს. ამგვარად, ეჭვს გარეშეა, რომ პურის ფასები ცოტაოდნად დაიწევს.

ზღაპრები მო[illegible] პურის კრ[illegible]სის შესახებ ამიერ-კავკასიაში კერძოთ საქართველოში [illegible] საფუძველს მოკლებულია. [illegible] ლური ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს მოსალოდნელია „პუ[illegible] და სხ., ბოროტგანზრახვით მოგო[illegible] ჭორია.

გადაჭრით შეიძლება ით[illegible] არავითარი პურის კრიზისი ჩვენში [illegible] იქნება.

კერძო ვაჭრობას ბოლო მო[illegible]ლება.

ამ ჟამად პურის ბაზარი 75 პროცენტით დაპყრობილი აქ[illegible] ოპერაციას, ამასთანავე თბილ[illegible] პურით ვაჭრობა მუშათა მთლიან[illegible] ოპერატივის ხელშია.

კერძო მოვაჭრეები სულ უმნიშვნ[illegible] რიცხვის გამოკლებით იდევნ[illegible]ბიან პურის ბაზრიდან, გარდა [illegible] კერძო ვაჭრობისა „ხლებოპრო[illegible] რომელიც აერთიანებს რამდენ[illegible] კერძო მოვაჭრეებს.

როგორ იქნება განაწილებ[illegible] პური თბილისში.

მთელი პური, რომელიც თბი[illegible]სში იქნება შემოტანილი, განაწ[illegible]ბა კოოპერატიულ ორგანიზ[illegible] შორის. კერძოთ მთელი [illegible] 50 პროც. გადაეცემა მუშათა [illegible] კოოპერატივს, 18 პროც. ამიერ[illegible]კასიის სატრანსპორტო სამომ[illegible]ბლო საზოგადოებას. 22 პრო[illegible] ველ საფეხურის კოოპერაციას. ნარჩენი პური გადაეცემა სახე[illegible]ფო ორგანიზაციებს.

შ ა ქ ა რ ი

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატში ჩვენ თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე წელს შემჩნეულ შაქრის დეფიციტის დასაფარავად საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა შეიძინა საზღვარგარეთიდან შაქრის დიდი პარტია, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირს ახალ მოსავლამდე.

საზღვარ-გარეთ შეძენილი შაქარი უკვე იგზავნება საბჭოთა კავშირში.

ამჟამად ამიერ-კავკასიაში ზედმეტია ლაპარაკი შაქრის კრიზისზე. უკვე სექტემბრიდან შემოტანილი იქნება საზღვარ-გარეთელი [illegible] იმ რაოდენობით, რომელიც [illegible] ახლად დამზადებულ შაქრის [illegible]ტანამდე. ახალი შაქრის [illegible] დაიწყება ოქტომბრის შუა [illegible]ში. პირველ სექტემბრიდანვე ამ[illegible] კავკასია მიიღებს 40.000 [illegible] შაქარს.

ამ შაქარს შინა-ვაჭრობის სახ. [illegible]მისარიატი გაანაწილებს ამიერ-კავკა[illegible]სიის რესპუბლიკებს შორის. [illegible] ფასები ძველებური დარჩება. [illegible] 10 მან. და 15 კაპ. თბილისის მცხოვრებთ შაქარს, ისე როგორც პურს მიაწოდებენ მუშათა მთლიანი კოოპერატივი და პირველი საფეხურის კოოპერაცია.

შავი-ქვის მექანიკური დატვირთვა

(ინჟ. კაზიმას ახალი აპარატი)

რ | გზის მთავარ სახელოსნოებში მოხდა გასინჯვა ინჟ. კაზიმას ახალი აპარატის, რომელიც დანიშნულია შავი-ქვის მექანიკურ დატვირთვისათვის. აპარატის გასინჯვას მოჰყვა მეტად ნაყოფიერი შედეგი. ინჟ. კაზიმას აპარატით 6—7 წუთის განმავლობაში განტვირთულ იქნა 1000 ფუთი შავი-ქვისაგან ბაქანი, რომელიც ვაგონებიდან დაშორებული იყო 7—8 საჟენით ჰორიზონტალურად.

აპარატი წარმოადგენს ნიჩბიანი ელევატორის შეერთებას უსაზღვრო ლენტთან, რომლის საშვალებით შავი ქვა მიიზიდება ბაქანიდან და გადაეცემა გემს.

განტვირთვის მიხედვით, ერთგვარი გადამცემი თასმის საშვალებით ბაქანი ავტომატიურად წინ მიიწევს გადმომცემი თასმა მოძრაობის ძალას იღებს ელევატორისაგან. ამგვარად ელევატორის მოქმედება პლატფორმის მიმყენებელი გადამცემი თასმის და ლენტის მუშაობა სწარმოებს ერთდროულად—ერთი მამოძრავებელით, რომელიც აპარატშია მოთავსებული. მამოძრავებელი ძალა უდრის 9 ცხენის ძალას, ხოლო ნაყოფიერება 7—8 ათასს ფუთს საათში.

აპარატის ასამუშავებლად საჭიროა ერთი მექანიკოსი და 4 მუშა-ხელი ამ აპარატით თვითეული ფუთი შავი ქვის დატვირთვა ჯდება ერთი-მეოცედიდან ერთმეათედ კაპეიკამდე; ამაში შედის იარაღების შეკეთება. სარგებელი კაპიტალზე, რომ[illegible] ლა საექსპლოატაციო [illegible] ტვირთვის ღირებულება [illegible] ფებას შეაქვს მთელი გადატვირთ[illegible] შავი-ქვის მრეწველობაში.

დასატვირთი ხარჯები ყოველ [illegible]ზე მცირდება ფოთისათვის არა [illegible]ლება 2—2 ნახევარ კაპეიკისა, ხოლო ჭიათურისათვის დაახლოებით 2 [illegible] პეიკი, საერთოდ შავი-ქვის [illegible] თვის მექანიზაცია იძლევა 4—[illegible] ეკონომიას თვითეულ ფუთზე.

ამასთანავე მცირდება ზღვის [illegible]ტის ხარჯებიც. გემს 3-4 [illegible] ლოდინის მაგივრად [illegible] მხოლოდ 2-3 დღე დგომა [illegible] დგურში.

ამ აპარატის გაკეთების [illegible] ერთი წლის წინად ინჟ. კაზიმა[illegible] რობით შეეკრა „ჩემო“-ს, რომე[illegible] რაღაც მიზეზების გამო პირობ[illegible] შეასრულა. შემდეგ აპარატის [illegible] ყობა ითავა ა | კ. რკინის გზის [illegible] პოზდეემა ინჟ. კაზიმას მისცა [illegible] მასალა და მუშა ხელი. ამ [illegible] საქმე დასრულებულია. აპარატის [illegible] სინჯვამ მოგვცა მეტად ნაყოფ[illegible] შედეგი. ამ აპარატის საშუალ[illegible] შესაძლებელი შავი ქვის [illegible] ყოველგვარი ბნეული ნივთი[illegible] დატვირთვა (ქვანახშირი, [illegible] ხორბალი კარტოფილი და სხვა).

ელევატორის მოწყობა [illegible] სულ 9 ათასი მანეთი.

საგლეხო სესხის რეალიზაცია ა.-კ. რესპუბლიკებში

(ა.-კ. ფინსახკომის ცნობებით)

სარეალიზაციოდ მიღებული სესხის რაოდენობა.

ცენტრიდან ა | კ. ფინ. სახ. კომისარიატმა საგლეხო სესხის ობლიგაციები ა | კ. მოსახლეობის შორის გასანაღდებლად მიიღო სულ 300 ათასი მანეთის რაოდენობისა. მიღებული ობლიგაციები იყო მანეთიანი, სამ მანეთიანი და ხუთ მანეთიანი კუპიურებისა.

სესხის განაწილება რესპუბლიკებს შორის.

მიღებული სესხის ობლიგაციები თითქმის სრულიად განაწილებული იქნა რესპუბლიკებს შორის.

300 ათასი მანეთის ობლიგაციებიდან საქართველოს მიეცა 140 ათასი მანეთისა, აზერბეიჯანს—120 ათასი მანეთის, ხოლო სომხეთის 30 ათ. მანეთი.

საქართველოს მაზრებიდან უკვე არის ცნობები სესხის რეალიზაციის შესახებ, აზერბეიჯანიდან ჯერ ამის შესახებ ცნობები არ მოსულა, თუმცა უკვე მიღებულია მოთხოვნილება გაგზავნილს გარდა კიდევ 75 ათას მანეთად ღირებული ობლიგა[illegible] გაგზავნის შესახებ.

საქართველოში, მიღებულ [illegible]ბის თანახმად 1 აგვისტომდე გა[illegible]დებულია 60 ათასი მანეთის [illegible] ობლიგაცია ე. ი. 40 პროცენტ[illegible]

ხოლო სომხეთში გასაღებულ[illegible] ათასი მანეთის—ე. ი. სომხეთის[illegible] გადადებულ ობლიგაციების [illegible] მესამედი.

ობლიგაციების განაღდება ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების [illegible]რებით.

საქართველოს ფინ. სახ. კომისარიატის რწმუნებულს განზრახვა აქვს იმ ობლიგაციების ნაწილი, რომელიც ახლახან არის მიღებული მოსკოვიდან, გადაუგზავნოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებს. რწმუნებულის აზრით, ეს გააადვილებს გლე[illegible] მიერ ობლიგაციების შეძენის [illegible] რადგან ფინ. განყოფილებებს საქართველოში მხოლოდ 20 კანტორა [illegible] ხოლო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების რიცხვი კი უდრის 60-ს.

ამხ. ლოზოვსკი „ზაჰესი“-ს მუშებთან

ა/წ. 21 აგვისტოს დილის 12 საათზე მოულოდნელად ჩამოვიდა მცხეთა-ავჭალაში ჩვენი და საერთაშორისო წითელი პროფ. მოძრაობის ხელმძღვანელი, პროფინტერნის გენერალური მდივანი ამხ. ლოზოვსკი.

მოსვლისთანავე ამხ. ლოზოვსკი გაემგზავრა წყლის საგუბრისკენ, სადაც დაათვალიერა მნიშვნელოვანი ადგილები ელ-სადგურის საამშენებლო ადგილისა. ამხ. ლოზოვსკის შეკითხვებზე ახსნა-განმარტებებს აძლევდა [illegible] სადგურის უფროსი ტეხნიკოსი [illegible]. ამხ. ლოზოვსკი დიდად კმაყოფილი დარჩა მუშაობის ინტენსიური შეგნებულობით და სამუშაოს ადგილზე ბარეობით, შემდეგ დაათვალიერა მექანიკური ნაწილი, სადაც მუშები მას ოვაციებით შეხვდნენ. სამჭედლოში შესვლის დროს მან აიღო დიდი ურო და სანამ არ დაასრულა ორთქლ-მავლის ერთი ნაწილი, არ მოუშვა. ამხ. მჭედლები ამბობდნენ: ამხ. ლოზოვსკის თავიც ვარგებია და მკლავიც“-ო. ბოლოს მან დაათვალიერა ადგილობრივი ახლად გახსნილი კლუბი „მუშა და გლეხი“-ს სახელობისა, რომლის მოწყობილობით დარჩა კმაყოფილი. განსაკუთრებით მოიწონა ლენინის კუთხე.

წასვლისას ამხ. ლოზოვსკიმ დაუტოვა ზაჰესის მუშებს შემდეგი შინაარსის წერილი სახსოვრად:

„ზაჰეს“-ის მუშებს, მუშა ქალებს, ტეხნიკოსებს და ინჟინერებს, რომლებიც ქმნიან კომუნისტური საზოგადოების საწარმოვო—ტეხნიკურ ბაზისს,—ძმური სალამი პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალისაგან. გახსოვდეთ ლენინის ანდერძი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მიუმატოთ ელექტროფიკაცია—არის კომუნიზმი და აშენეთ საერთაშორისო პროლეტარიატის სხვა რაზმებთან ერთად საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მსოფლიო კავშირი“.

პროფინტერნის გენერალური მდივანი ლოზოვსკი.

კოოპერაცია

ცეკავშირის აგრიკულტურული მუშაობა

ცეკავშირის წევრებათ, გარდა სოფლის მთლიანი კოოპერატივებისა, ითვლებიან აგრეთვე სხვა და დარგის ამ-ბი: მევენახეობის, მეხილეობის, მებამბეობის და მრავალი სხ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციას ცეკავშირი იძენს და ამზადებს თავის წევრების საშუალებით, ნაწილი პროდუქციების გადამუშავება ხდება ცეკავშირის ფაბრიკებში და ქარხნებში, მეორე ნაწილი კი მას გამოაქვს ბაზარზე.

ამ წარმოების პროცესში თავის თავად დაისვა საკითხი მოეწყოს ცეკავშირთან ისეთი აპარატი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს თავის მოკავშირე ამხანაგობებს და კოოპერატივებს აგრიკულტურულ მუშაობაში, აგრონომიულ დახმარებას აღმოუჩენს მათ.

ამ მიზნით დაარსდა ცეკავშირის სასოფლო სამეურნეო განყოფილება-აგროდახმარების ქვეგანყოფილებით. იანვრის შუა რიცხვებში გამგეობამ მიიღო მომავალი მუშაობის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა 15.000 მ. ჯამით მოწვეულნი იქმნენ ქართლისათვის, კახეთისთვის და იმერეთისთვის რაიონის აგრონომები და ინსტრუქტორები. თანახმათ მიღებული გეგმისა აგრო-პერსონალი ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს მათ აგრი-კულტურულ მუშაობაში. პირველ ხანებში ადგილობრივ ორგანიზაციების უსახსრობის გამო თვით ცეკავშირს უხდება იკისროს ხარჯები, რომლებიც სჭირდება ასეთ საქმეს როგორიცაა ვაზის და ხეხილის სანერგეები, მავნებლებთან ბრძოლა, საბოსტნე თესლის დამზადება და სხვ. ცხადია, რომ შემდეგში ყველა ეს ხარჯები დაეკისრება ადგილობრივ რომელიმე სასოფ. სამეურნეო ამხ-ბას, მხოლოთ ცეკავშირს შერჩება საერთო ხელმძღვანელობა მათი აგრი-კულტურული მუშაობის დროს.

ჩვენი სოფელი, და კერძოთ კოოპერატიულ ორგანიზაციები, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, ამ ჟამათ დიდ გასაჭირში არიან ჩავარდნილნი, რადგან მათ აკლიათ ინვენტარი, საოპერაციო ხარჯებისათვის საჭირო კრედიტი, მოკლებულნი არიან აგრო-დახმარებას. ცხად ა ცეკავშირი და მისი სას. სამ. განყოფილება, ვერ იკისრებს ნახევრათ მაინც გააქარწყლოს სოფლის ზემოდ-ხსენებული გასაჭირი, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელია ის შეუდგა ამ ძნელ საქმეს: დაარსდა ბევრ ადგილას ადგილობრივ კოოპერატივების საკრედიტო განყოფილებანი, მიაწოდა ბაღ ვენახისათვის საწამლი მასალა და აპარატები, გამოიწერა ინვენტარი, საძირკველი ჩაუყარა აგრო-დახმარების მოწყობას.

გადადებულ თანხების სიმცირის გამო აგროდახმარება ვერ მოეწყო იმ მაშტაბით, რომელიც სასურველია ჩვენს პირობებში. ჯერ-ჯერობით ცეკავშირის აგროდახმარების ქ. განყოფილების მიერ შესრულებულია შემდეგი საქმიანობა (ნახევარ წელიწადში).

კახეთი. ამ უკანასკნელ წლებში კახეთის ვენახები საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ, მათ მთელის განადგურება ფილოქსერისაგან. ერთადერთი საშუალებაა ამ მტერთან ბრძოლის დროს განახლდეს კახეთის ვენახები ამერიკულ ვაზზე დამყნით, რისთვისაც საჭიროა გაიმართოს სანერგეები. ასეთი სანერგეები გამართულია მიწათ-მოქმედების და წარმოკავშირის მიერ ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მხოლოთ ალაზნის მარცხენა ნაპირის სოფლები (ყვარელი, ახალსოფელი, შილდა და სხ.) მოკლებულნი არიან საშუალებას ნამყენი ვაზი შეიძინონ. სიშორის გამო. ამ რაიონში თითქმის 6.000 დეს. ვენახს მთელის საფრთხე ფილოქსერისგან. ცეკავშირმა მიიღო ეს მხედველობაში და ჩაუყარა საძირკველი ყვარელის სანერგეს. ს. ყვარელში აიღო 25 დეს. საფონდო მიწა, სადაც მოეწყო სანერგეების გარდა საჩვენებელი მინდორიც.

ამ გაზაფხულზე გადავაბრუნეთ 4 დეს. მიწა პლანტაციით და ჩავყარეთ ამერ. ვაზის რქა—სადედე. გაზაფხულზევე დაითესა ამერიკული ჯიშის ბამბა (კინგი) სიმინდი მწკრივათ, იონჯა. გამართულია აგრეთვე თუთის სანერგე მეაბრეშუმების საჭიროებისთვის. სანერგეშივე გაიმართა შენობა ინვენტარის დასაწყობათ და მებაღის საცხოვრებლათ, მეორე ვაზის სანერგე გაიმართა წნორის წყალზე, სადაც აღებულია 13 დეს. საფონდო მიწა. აქვე დათესილია ბამბა, იონჯა, ქარხალი. მოეწყო აგრეთვე თუთის სანერგე.

ამ მუშაობას სანერგეებში ხელმძღვანელობს რაიონის აგრონომი და სანერგეებას გამგენი.

მშრომელი გლეხობა დიდი ინტერესით უყურებს ცეკავშირის მუშაობას ამ დარგში და მოუთმენლათ ელის ნამყენ მასალას.

ქართლში აგროდახმარების ქ. განყოფილებამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია მეხილეობას, რადგან ეს არის მეურნეობის მთავარი დარგი. მაგრამ რამდენადაც აქ პირობები საუკეთესოა მეხილეობისთვის იმდენათ ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ხილის და ხეხილის მოვლა-მოყვანას. ხეხილის მავნებლები ყოველ წელს უდიდეს ზარალს აძლევენ მებაღეებს, მაგრამ აქნობამდე მათთან ბრძოლა არა სწარმოებდა. ამ წელს გაზაფხულზე მოკავშირე მეხილეთა ამ—ბის დახმარებით მოწყობილ იქნა მთელ ლიახვის ხეობაში ხეხილის მავნებლებთან ბრძოლა (უმთავრესათ ფხვეწის, ტყვიავის და მეჯვრისხევის რაიონებში), რისთვისაც გაიგზავნა სასხურები (ავტო-მაქსები), და წამლეულობა. ამ წამლობამ შესანიშნავი შედეგები მოიტანა და ეხლა არ მოიპოვება იმ რაიონებში მებაღე, რომელიც არა თხოულობდეს თავის ბაღის მოწამლას. წამლობის დროს აგრონომ - ინსტრუქტორები უხსნიდენ მებაღეებს, თუ როგორი მოვლა ესაჭიროება ბაღებს, რომ დაუშვებელია ბაღებში სიმინდის თესვა და სხ.

ქართლის ხილის ბაღები დღითიდღე ფართოვდება და იზრდება მხოლოდ საჭირო ნამყენი ხეხილი არსად იშოვება, დღის მოთხოვნილებაა გაიმართოს დიდი მაშტაბის სანერგე, რომელიც დააკმაყოფილებს რაიონს,—ცეკავშირს აქვს გორში პატარა ზომის ხეხილის სანერგე, რომელიც აუცილებელია უნდა გაფართოვდეს—და ამის შესახებ ზომებია მიღებული.

იმერეთშიც ისეთივე მუშაობა სწარმოებდა, როგორც ქართლში—ე. ი. ხეხილის მავნებლებთან ბრძოლა. მაგრამ ამას გარდა გაიმართა ს. ფარცხა-ნაყანებში სათესლე ბოსტანი. ჩვენი მეურნეობის ასეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მებოსტნეობა, ყოველთვის დიდ გასაჭირში არის ხოლმე გაზაფხულზე იმის გამო, რომ არ იშოვება კარგი ღირსების და საჭირო ჯიშის საბოსტნე თესლეულობა. ამიტომ ცეკავშირი ორ ადგილას—იმერეთში და ყარაიაზში—მართავს სათესლე ბოსტანს, საუკეთესო ჯიშების თესლის მისაღებათ. მასიურ თესლის დამზადებასთან ერთათ სწარმოებს სელექციური მუშაობაც. თესლის დამზადება თანდათანობით გაიზრდება, ამ წელს კი მთელი ბაზრის მოთხოვნილება ცხადია ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული განყოფილებაში — სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდას და სამეურნეო ცოდნათა გავრცელებას. ს. ყვარელში ამ მიზნით გამართული იყო სამკვირიანი უფასო მევენახეობის კურსები, სადაც მსმენელებს შეასწავლეს უმთავრესათ ვაზის მყნობა და ვენახის მოვლა. კურსების შემდეგ იყო გამოცდა და მთელმა რიგმა გლეხებმა მიიღეს შესაფერი მოწმობა.

ასეთივე კურსები გაიმართება ამ შემოდგომაზე იმერეთში და ქართლში (სხვა და სხვა დარგიდან).

განზრახულია გამოცემა სას. სამ. წიგნაკების და ბროშურების. უკვე გამოიცა ერთი პლაკატი —ხეხილის კვირტით მყნობა, მზადდება გამოსაცემათ—ბაღის მოვლა. მომავალი წლისთვის უფრო ფართოთ მაშტაბით შეუდგება მუშაობას განყოფილება. საჭიროა დამყარდეს კონტაქტი ცეკავშირს და წარმოკავშირის აგრიკულტურულ მუშაობაში, რომ თავიდან ავიცილოთ მიუღებელი პარალელიზმი. თუ დღემდე ეს იყო, ამას იქით დაუშვებელია ამ დარგში მუშაობა განცალკევებით.

ი. ქურდიანი.

სასოფლო მეურნეობა

ღორების აცრა გორის მაზრაში

(ვეტ.-ექიმის შთაბეჭდილებანი)

საქართველოში მე მგონი არც ერთი კუთხე არ არის ამ ჟამად, სადაც ღორების ჭირი არა მძვინვარებდეს. მიწად, მოქ. სახ. კომისარიატმა ცალკე სავეტერინარო ბაქტერიოლოგიური სადგურიც კი დააარსა, სადაც ღორების ასაცრელი შრატი მზადდება და მახლობელ მომავალში კიდევაც შეუდგებიან საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში ღორების აცრას.

მაგრამ ვიდრე ეს აცრა არ დაწყებულა და ფართო ხასიათი არ მიუღიათ, ამიტომ არ შემიძლიან ჩემი შთაბეჭდილებანი არ გაუზიარო დაინტერესებულ სოფლის მეურნეთ. მე ვაწარმოებდი გორსა და მის ზოგიერთს სოფლებში ღორების აცრას მთელი ორი წლის გავმავლობაში თბილისში და მოსკოვში დამზადებულ შრატით.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ თვით სახელი ავადმყოფობისა სწორი არ არის და როგორც ღორის ყოველ ავადმყოფობას ჭირს ეძახის, ის შემკრეფითი სახელია და მის სახელს ქვეშ იმალება სამი ავადმყოფობა, რომელსაც რუსულად ეძახიან ჩუმა, სეპტიცემია და როჟა. აი სამთავე ესენი სულ სხვა და სხვა ავადმყოფობანი არიან და მათი გამავრცელებელი ბაცილა თუ ბაქტერიაც სხვა და სხვაა.

პირველი ორი: ჩუმა და სეპტიცემია ძალიან ხშირად ერთად ემართებათ ხოლმე ღორებს და აი მაშინ დადგება ხოლმე ნამდვილი მუსრი ღორებისა. აი ეს ორი გადამდები სენი, რომელიც თითქმის ერთსა და იმავე დროს უჩნდება ხოლმე ღორებს ვერ გაურჩევია არამც თუ ჩვეულებრივ სოფლის მეურნეს არამედ ბევრ ვეტ-ექიმს და ვეტ-ფერშალს. აი ამ გარჩევას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ღორების ჭირის შრატმა მშვენიერი მოქმედება იქონია იქ სადაც მარტოთ-მარტო ჭირი სჭირდა ღორებს, სადაც კი ჭირის გარდა სეპტიცემიაც თან ახლდა არავითარი გავლენა არ იქონია, ამიტომ ხშირად ხალხისაგან გაიგონებდით წამალი არ ვარგა,, ღორების მაგიერ უფრო გვიხოცავსო. ხშირად ამ უკანასკნელის —სეპტიცემიის ცნობა ძნელია და ამიტომ ყველა ის ვეტერინარი რომელიც განიზრახავს ღორების აცრას, უსათუოდ მიკროსკოპით უნდა გასინჯოს დაავადმყოფებული ან მკვდარი ღორები, რომ თუ შერეული ავადმყოფობაა ტყუილად არ დახარჯოს ძვირად ღირებული შრატი.

გარდა ამისა, სეპტიცემიის უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს მეურნეობისათვის, ის გარდა ღორებისა მთელს ჩვენს შინაურს ფრინველებს ქათმებს, იხვებს, ბატებს, ინდოურებს ხოცავს. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მასთან საბრძოლველი მასალის დამზადებაც. აი როცა ჩვენ ერთიც და მეორეც დამზადებული გვექნება, მაშინ თამამად შეუძლიან გავიდეს ვეტერინარი მათთან საბრძოლველად და სათანადო სარგებლობაც მოუტანოს მეურნეობას.

შრატით აცრის გარდა, დაავადმყოფებულ ღორებს ჩვენ ვაძლევდით სულემის ფხვნილს 1—3,0 ავადმყოფობის პირველს ხანაში და მაშინ ყოველივე ეჭვს გარეშე იყო ხოლმე ღორის მორჩენა.

შრატით აცრა ღორებისა იმ წესით როგორც აქამდის ვაწარმოებდით, მე მგონი მიუღებელი უნდა იყვეს პირდაპირ პრაქტიკულის თვალსაზრისითაც კი. აცრა შველის 2—4 კვირამდის და ამის შემდეგ თუ კიდევ არ მოსპო ჭირი საჭიროა ხელმეორედ აცრა ღორებისა. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია შერეულის წესით ღორების აცრა ე. ი. შრატით და იმავე დროს დაჭირიანებული ღორის სისხლით, ისევე როგორც ეს სწარმოებს ხოლმე სხვილ-ფეხი საქონლის აცრის დროს. ამგვარი აცრით გვენახება ძვირფასი შრატი და მეორედ კიდევ თვით აცრილი ღორი არ შეიძლება არ ინახავდეს იმუნიტეტს რამდენიმე წელიწადი მაინც. ამიტომ ჩვენის აზრით სავეტ-სამმართველომ ამ თავიდანვე უნდა აიღოს სწორი გეზი და აუცილებლივ აწარმოვოს შერეულის წესით ღორების აცრა.

ამასთანავე საჭიროა, რომ ყოველივე შრატი და ვაქცინა ადგილობრივ საქონლისაგან დამზადდეს.

მშვენიერი აზრი მოსულია სავეტერინარო სამმართველოს. მას განუზრახავს მოკლე ხანში დაარსოს ღორების გაუმჯობესებული ჯიშის გამავრცელებელი პუნქტი, რომელსაც ის [illegible] ექნება სხვა ამგვარ პუნქტებისაგან, რომ გასავრცელებლად გამოშვებისა ღორებს მოახდევინებს ჭირსა და სხვა ავადმყოფობას, რომ მისი შემძენი უზრუნველ იყვეს ღორის გადამდებ სნეულებათაგან. ვისაც წარმოდგენილი აქვს, თუ რამდენათ უფრო მეტად მუსრს ავლებს ყოველივე ჭირი კულტურულ ღორებს შედარებით ადგილობრივ უჯიშო ღორებთან, ის ნათლად მიხვდება ამგვარი პუნქტის დაარსების დიდ მიზანს და სარგებლობას ჩვენის მეღორეობისათვის. სავეტერინარო სამმართველოს აზრათ აქვს ასეთი პუნქტის დაარსება გორის მაზრაში, ვუსურვებთ მის ჩქარა განხორციელებას.

შირინბეი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს სამდივნოში

[illegible] კავშირის წევრთა დამოუკიდებელი ამხანაგობა

საქ. პროფსაბჭოს სამდივნომ საჭიროდ სცნო სახალხო კვების კავშირის წევრებისგან დამოუკიდებელ საპაიო ამხანაგობათა მოწყობა. სახალხო კვების მუშაკთა კავშირს წინადადება მიეცა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასადილო ამხანაგობათა ორგანიზაციის საქმეში.

წალვერის წყალსადენისათვის

პროფსაბჭოს სამდივნომ დასასვენებელ სახლების ფონდიდან წალვერის წყალსადენის მოსაწყობად გადასდო 3.500 მანეთი.

ჩაქვის მამულის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პროფსაბჭოს სამდივნომ მიიღო რა მხედველობაში ჩაქვის მამულის მუშა-მოსამსახურეთა მძიმე მდგომარეობა, დაადგინა სათანადო ორგანოების საშუალებით განახორციელოს ის ღონისძიება, რომელიც გამომუშავებულია აჭარისტანის პროფსაბჭოსა და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის მიერ.

საწევრო ბილეთის იურიდიული მნიშვნელობა.

საქართველოს პროფსაბჭომ დაავალა შრომის სახ. კომისარიატს იშუამდგომლოს უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა პროფკავშირის საწევრო წიგნაკს მიეცეს იურიდიული მნიშვნელობა.

კამპანია კავშირის წევრთა სათამაშო სახლებში სიარულის წინააღმდეგ.

საქართველოს პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა მიმართოს პროფსაბჭოს სახელით კავშირის წევრებს მოწოდებით წევრთა სათამაშო დაწესებულებებში სიარულის დაუშვებლობის შესახებ. კავშირებს წინადადება ეძლევათ ჩაატარონ ამის შესახებ სათანადო კამპანია ადგილებზე. დადგენილ იქნა სათამაშო სახლებში მოსიარულე წევრები გაირიცხოს კავშირიდან.

ფიზკულტურა კავშირებში

კავშირების საქმიანობაში ფიზკულტურის აზრის პოპულიარიზაცია და მის გარშემო პრაქტიკული მუშაობა მთავარი ამოცანის უპირატესობით არის დაჯილდოვებული. სულ დიდი ხანი არ არის, რაც გააჩაღეს კავშირებმა მუშაობა ამ მხრივ და შედეგი დიდი მომავლის გადამშლელია. მუშათა ფართო მასების ფიზიკურად გაჯანსაღება მტკიცე ნიადაგზეა დამდგარი. მოკლე ხნის მუშაობის სურათი დღეს დღეობით ასეთია:

პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს კულტგანყოფილებას მოწყობილი აქვს ორი წრე: ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტთან, მეორე პოლიტეხნიკუმთან არსებულ მუშათა ფაკულტეტთან. პირველში ირიცხება 45 მსმენელი, აქედან 10 ქალია, მეორეში კი 223 მსმენელი, აქედან 80 ქალი. კავშირების მიხედვით ფიზკულტურის წრეები დანაწილებულია შემდეგნაირად:

კავშირის სახელწოდება	წრების რიც.	წევრ. რიც. მამაკ.	წევრ. რიც. დედაკ.
გემო-კვების	5	109	28
მელითონეების	4	279	—
რკინისგზელთა	3	205	15
კომუნალურ მეურნ. მუშაკ.	1	64	
მეტყევეთა	3	94	
საბჭ. მუშაკები	3	82	
სახ. შეერთების.	1	18	
ფეიქართა	1	—	12
მკერავთა	1	22	
მბეჭდავების	1	45	
ცენტ. მუშათა კლუბთან	3	59	12
სულ	26	977	67

ამ რიგად სულ კავშირებში არსებობს 28 წრე, რომელშიაც 1312 წევრია გაერთიანებული.

ჯერ-ჯერობით ფიზკულტურის წრეებში მუშა-ქალების ძალიან მცირე პროცენტია ჩარიცხული. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, ვინაიდან ფიზკულტურას ჩვენთვის უბრალო ვარჯიშობის მნიშვნელობა კი არა აქვს.

ზემოთ მოყვანილი სურათი არის სულ მცირე ხნის მუშაობის შედეგი. რაც გადის ფიზკულტურის წრეები უფრო პოპულიარული ხდება კავშირებში და მუშათა ფართო მასებში.

თანდათანობით ეწყობა საქმე პროვინციაშიაც. კულტგანყოფილებამ საგანგებოთ გააგზავნა პროვინციის ქალაქებში მთავარი ინსტრუქტორი ამხ. გერასიმიშვილი, რომელმაც ადგილობრივად შეისწავლა საკითხი და გადადგა ნაბიჯი ფიზკულტურის წრეების ქსელის, რაც შეიძლება უფრო ფართოთ გასაშლელად. უკვე არსებობს წრეები ბორჯომში, ბათომში და სხვაგან.

მიღებულია ზომები, რომ ასეთივე წრეები დაარსდეს ყველა სხვა სამრეწველო ცენტრში განსაკუთრებით კი ჭიათურასა და ტყიბულში და სხვაგან.

ამხ. გერასიმიშვილი აწყობდა ადგილობრივად შესაფერ მოხსენებებს ფიზკულტურის აზრის პოპულიარიზაციისათვის.

ფიზკულტურის იდეის პროპაგანდისათვის და ინსტრუქტორთა საჭიროებისათვის კულტგანყოფილების დადგენილებით სულ მოკლე ხანში გამოიცემა შესაფერი ბროშიურებიც.

მრავალცნობითი რადიო-სადგური თბილისში

ა/კავკასიის რადიო-საზოგადოება რადიო ტელეგრაფის იდეის პოპულიარიზაციის და პროპაგანდის შემდეგ უკვე შეუდგა ამ იდეების პრაქტიკულ გატარებას. საზოგადოებამ უკვე გადასდგა ნაბიჯი მრავალცნობითი სადგურის მოსაწყობად თბილისში.

მიზანშეწონილობა და სარგებლობა ამ სადგურის ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

სადგური საშუალებას იძლევა 200 ვერსი რადიუსის მანძილზე პოლიტიკურ მოხსენებათა, ეკონომიურ ცნობების როგორც, მაგალითად, ცნობა ფასების მოძრაობის შესახებ ბაზარზე, მეტეოროლოგიური ხასიათის ცნობები და სხვა მოსმენისას. სადგურმა რომ ეს დანიშნულება შეასრულოს საჭიროა მხოლოდ ადგილებზე დადგმა რადიო მიმღები აპარატების, რომლებიც ძვირი არ ჯდება.

ამ რადიო სადგურის ასაგები ძირითადი თანხა შესდგება საწევრო გადასახადებისაგან შეგროვილი ფონდისგან, ფასიანი ლექციების და მოხსენებისგან აკრეფილი ფულიდან და ეგ. წოდებულ, რადიო ფანატიკებისგან, გაღებულ შემოწირულების და ანარიცხებისგან შეგროვილ თანხისგან.

ცხადია ეს თანხა საკმარისი არ არის იმასთან შედარებით, რასაც მოითხოვს სადგურის აგება ლენინგრადის ტრესტის მოთხოვნილების მიხედვით. სადგურისათვის ასაგები თანხა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე საზოგადოებას მოეპოვება.

რადიო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას და საქართველოს და ა/კ. ფედერაციის პროფსაბჭოების წინაშე სადგურის საჭიროებისათვის დახმარების მიცემის შესახებ. ყველა ზემოხსენებულმა დაწესებულებებმა საზოგადოებას აღუთქვეს დახმარება.

ფართე ცნობითი რადიო-სადგურს აქვს მეტად დიდი დანიშნულება და აგრეთვე დიდი მომავალიც, როგორც მას გვიჩვენებს დასავლეთ ევროპის რადიო მშენებლობა ამ დარგში.

რკინის გზებზე

— **ჭიათურის რკ. გზის გადაკეთება.** ა/კ. სახ. კომისართა საბჭოში წარსადგენათ მზადდება მოხსენება ჭიათურის ვიწროხაზიან რკ. გზის გადაკეთების შესახებ ფართე ხაზათ.

— **გაეროვნება ა/კ. რკ. გზებზე.** ამ ჟამად ა/კ. რკ. გზებზე სწარმოებს ბლანკების გადათარგმნა ნაციონალურ ენებზე.

— **ფოთლის ხიდის დასათვალიერებლად.** გზათა სამსახურის სამმართველომ საქტრედიაში გაგზავნა წარმომადგენელი რკინის გზის მასალის დასათვალიერებლათ. მასალა მიღებულია შავი ზღვის პირა რკინის გზებიდან და მოხმარდება ფოთლის ხიდის დამთავრებას.

— **ასფალტი და კირი.** გადაწყვეტილია ა/კ. გზების საჭიროებისთვის შეიძინონ 10.200 ფ. ასფალტი და 2.500 ფ. კირი, რისთვისაც გადადებულია თანხა 50.000 მანეთამდე.

— **სალებავების შესაძენათ.** რკ. გზების სამმართველომ სხვა და სხვა სახის სალებავების შესაძენად გადასდო 65.000 მან.

— **ფილტრები სასმელ წყლისათვის.** რკ. გზების სამმართველო მოკლე ხანში შეიძენს სასმელი წყლის ფილტრებს.

— **ვაგონი-მუზეუმი.** 20 აგვისტოს ვაგონი-მუზეუმი გავიდა სამრეთ უბანში.

— **მატარებლის გაწყვეტა.** 19 აგვისტოს 12 საათზე მატარებელი № 1240 წიფა-მოლითის გადასარბენზე გაწყდა. დაზიანდა ერთი ვაგონი. მოძრაობა განახლდა 45 წამის შემდეგ.

ქარხანა—ლაბორატორია

21 აგვისტოს ქ. გორში გაიხსნა შპალების გამოსაშრობი ქარხანა, რომელიც ხელახლა იქნა აღდგენილი. დღეს იგი ის ქარხანა აღარ არის, სადაც შპალების გამოშრობა სწარმოებდა ქლორიანი ცინკით, და რომელიც დანგრეული იქნა გორის მიწის ძვრისაგან. დღეს ეს ქარხანა-ლაბორატორიაა. პროფესორმა გულენკომ გამოიგონა ახალი საშუალება შპალების გამოსაშრობად. ეს საშუალება მდგომარეობს ვულკანიზაციაში. სპეციალურმა კომისიამ ამიერ-კავკასიის რკ. გზ. უფროსის პოზდეევის მეთაურობით დაათვალიერა 2 აგვისტოს ქარხანა და მოახდინა შპალების გამოშრობის ცდა. შედეგები საუცხოვოა წიფელას შპალები პროფ. გულენკოს წესით გამოშრობილი, შესცვლის მუხის შპალებს, რადგან ამ შპალებს შეუძლია გასძლოს დაულპობლად 25—30 წელი. ცდის შედეგების შესახებ ცნობა გაეგზავნა ცენტრს.

საბჭოთა სასამართლო

ა. ჯაფარიძის მოკვლის საქმე

გუშინ ალმ. საქ. ოლქის სასამართლოში შომახიას თავმჯდომარეობით დაიწყო ა. ჯაფარიძის მკვლელის დავით კობიაშვილის საქმის გარჩევა (ს. ს. კ. 146 მუხ.) საქმის შინაარსი საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით შემდეგია:

1918 წელს დავით კობიაშვილმა იყიდა დესიმონის ქუჩაზე ვინმე კრუჭკოვის კუთვნილი ეზო და სახლის ნახევარი. მეორე ნახევარი ამ ეზოსი, რომელიც ეტლების სადგომს წარმოადგენდა, ეკუთვნოდა კრუჭკოვის ქალს. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ქალი მისთხოვდა ალექსი ჯაფარიძეს, რომელიც ამის შემდეგ პატრონობას უწევდა თავის ცოლის წილს, როგორც მისი რწმუნებული. ეზოსა და სახლის სანახევრო მფლობელობის ნიადაგზე კობიაშვილს ხშირათ მოდიოდა უსიამოვნება ჯაფარიძესთან, 1921 წელს ეზო და სახლი ჩამოერთვა მის პატრონებს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მათვე გადაეცა საიჯაროთ. დავა გრძელდება. დ. კობიაშვილი მოითხოვდა ჯაფარიძისაგან ეზოსა და სახლის მეორე ნაწილის გაყიდვას კობიაშვილისათვის. როდესაც ჯაფარიძემ უარი განაცხადა ამ წინადადებაზე იმ მოსაზრებით, რომ ქონება ეკუთვნოდა მისი ცოლის ობოლ შვილებს (კრუჭკოვის პირველ ქმრისაგან), კობიაშვილი დამუქრებია ჯაფარიძეს: „შენს სისხლს დავლევო“. მართლაც, წარსული წლის ეკენისთვეს ვიღაც უცნობ პირებმა თავდასხმა მოახდინეს ჯაფარიძეზე მისი მოკვლის განზრახვით. ჯაფარიძე დაიჭრა, მაგრამ გადარჩა. შემდეგ ჯაფარიძის და მისი ცოლის ადგილი ეზოსა და სახლის მეორე ნაწილის პატრონობაში დაიჭირა სხვა მოიჯარადარემ, მაგრამ ჯაფარიძის ოჯახი განაგრძობდა ცხოვრებას იმავე სახლში. გავიდა რამოდენიმე თვე, რომლის განმავლობაში კობიაშვილი და ჯაფარიძე თითქმის მეგობრულათ ცხოვრობდენ ერთმანეთის მეზობლათ. უბედურება თითქოს სრულიად მოულოდნელად დატრიალდა. ამა წლის 16 აპრილს, ამ დღეს მათ ცოტა წაილაპარაკეს, შემდეგ შერიგდენ,—გადაჰკოცნეს კიდეც ერთმანეთი, მაგრამ რამოდენიმე წუთის შემდეგ დ. კობიაშვილი დახვდა ჯაფარიძეს ეზოში, როდესაც უკანასკნელი გამოდიოდა რესტორან „ოქროს კუთხე“-დან (ეს რესტორანი იმავე ეზოშია) და რამოდენიმე ჯერ მიახალა მას რევოლვერი. დაჭრილი ჯაფარიძე რესტორანში შევარდა და წაიქცა. კობიაშვილი შეუვარდა მას რესტორანში და ზედიზედ რამოდენიმე ტყვია დააყარა. ჯაფარიძე იქვე გარდაიცვალა. შემოსცვივდენ მილიციონერები, კობიაშვილის ცოლი, ძმა და კიდევ სხვა. კარგა ხნის წინააღმდეგობის შემდეგ კობიაშვილი დანებდა მილიციელებს. როდესაც დაპატიმრებული კობიაშვილი მიჰყავდათ კომისარიატში ჯაფარიძის გვამთან გავლისას მკვლელი მივარდა გვამს, ჩაარტყა მან წიხლი და დაიძახა: „ძაღლი იყავ და ძაღლივით მოგკალ“-ო. გაბოროტებული მკვლელი ჯაფარიძის ცოლსაც მოკვლას ემუქრებოდა.

ბრალდებულს იცავს ი. ბარათაშვილი. ბრალმდებლის მოვალეობას ასრულებს პროკურორის თანაშემწე ტატიშვილი.

ვეკუას საქმე

პლეხანოვის პროსპექტისა და კიროკის ქუჩის ჯვარედინზე მდგომმა დარაჯმა კოსტაჩენკომ თვალი მოჰკრა ვიღაც საეჭვო პირს, რომელსაც მოჰქონდა მოზრდილი ბოღჩა, გააჩერა და ბოღჩიანი კაცი კომისარიატს მოჰგვარა. მილიციელებმა გახსნეს ბოღჩა და დაინახეს: მოოქროებული ვერცხლის ჯვარი 33 მისხლის წონით, ვერცხლის ჯვარი ვერცხლისავე ჯაჭვით, სახარების ყდა 76 მისხლის ვერცხლით, ნოხი, საეკლესიო მაგიდის აბრეშუმის საფარი და სხვა. ყოველივე ეს დაპატიმრებულთან ერთად გადაეცა სასამართლოს. სასამართლოში ბრალდებულმა ვეკუამ,—ყოფილმა ოფიცერმა და ამჟამათ „იოანე ღვთისმეტყველის“ ეკლესიის ქურდმა განაცხადა:

მე ჩამოვედი სოხუმის ოლქიდან სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად. შესვლა დამიგვიანდა და დავრჩი უფულოდ. ამან მაიძულა შევსულიყავ ეკლესიაში და გამომეტანა რამოდენიმე ნივთი გასაყიდად და თავის შესანახად. ეკლესიაში ჩემ მიერ წაღებულ ნივთების გარდა იყო ფულით სავსე ყუთი. მაგრამ ყუთისთვის ხელი არ მიხლია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ორიოდე კვირისათვის ეს ნივთებიც მეყოფოდა, მეორეც იმიტომ, რომ ვიცოდი: ყუთის გატეხვისათვის მეტი მომესჯებოდა. გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ჩემი სოციალური მდგომარეობა და აგრეთვე ისიც, რომ მე ასე თუ ისე მღვდლები გავძარცვე და არა ჩვეულებრივი მოქალაქენი.

სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულს დაპატიმრება ოთხი თვით.

ამიერ-კავკასიის ცაკის II სესია

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა ამა წლის აგვისტოს 8-ს დაადგინა ამა წლის სექტემბრის 1-თვის მოწვეულ იქნეს ქ. თბილისში

ამიერ-კავკასიის ცაკის მე-II [illegible]

დამტკიცებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის ცენტ. აღმ. კომ. პრეზიდიუმის ანგარიში—მომხსენებელია ამიერ-კ. ც. აღმ. კ. თავმჯდომარე.
2. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ბიუჯეტი—მომხსენებელია ამხ. ჰუსეინოვი.
3. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობა—მომხსენებელია ამხ. ქ. ჩხენკელი.
4. ამიერ-კავკასიის საძოვარი ადგილები—მომხსენებელია ამხ. ქასიანი.
5. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კონსტიტუციის შეთანხმება სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციასთან—მომხსენებელია ამხ. მ. ორახელაშვილი.
6. დებულება ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების: ა) ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის, ბ) ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. ფედ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ და გ) ზოგადი დებულება ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპ. სახალხო კომისარიატების შესახებ—მომხსენებელია ამხ. ა. შავერდოვი.
7. დებულება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატებისა: ა) ფინანსთა, ბ) შინა ვაჭრობისა, გ) შრომისა, დ) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების კავშირის: ა) გარეშე საქმეთა, ბ) საგარეო ვაჭრობისა და გ) ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოების ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში—მომხს. ამხ მუსაბეკოვი.
8. ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმ. კომ. მდივნის არჩევნები.
9. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივნის მაგიერ ა. შავერდოვი.

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია

თბილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა

ფრაქციის ბიურო.

ქრონიკა

— **უმუშევართა გაწმენდა.** საქ. შრომის კომისარიატმა მაზრებში დაეგზავნა სახელმძღვანელო-ინსტრუქციები უმუშევართა გაწმენდის წესის შესახებ. უმუშევართა გაწმენდა მთელ რესპუბლიკაში უნდა დასრულდეს 15 სექტემბრამდე.

— **ახალი თბილისი.** ქ. აღმასკომის კეთილ მოწყობის სექცია ამ ჟამად იმუშავებს თბილისის კეთილმოწყობის ახალ გეგმას. გეგმის მიხედვით ქუჩები, ბაღები და სახლები მოწყობილი უნდა იქნას ერთნაირ სტილზე.

— **ქუჩების განათება.** ელექტრო სადგურის სამმართველომ გადასწყვიტა ქუჩებში, ნაცვლად არსებულის, დაჰკიდოს ახალი ფარნები, რომლებსაც ვერ ავნებს ქარი და წვიმა.

— **ლოთობის წინააღმდეგ.** თბ. მილიციამ გადასწყვიტა ენერგიული ზომები მიიღოს ლოთობის წინააღმდეგ. ივნისის და ივლისის განმავლობაში სიმთვრალის გამო დაპატიმრებული იქნა 288 კაცი.

— **ცოფიანი ძაღლები.** უკანასკნელათ მაზრებში გახშირდა ცოფიანი ძაღლები. ეკატერინოფელდში ცოფიანმა ძაღლებმა დაჰკბინეს 60 ადგილობრივი მცხოვრებლები.

— **ლატარია გლეხკომების ფონდისათვის.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გლეხკომების ფონდის გასაძლიერებლათ მოაწყოს ლატარია.

— **საბინაო აღმშენებლობა.** საქ. შრომის კომისარიატთან დაარსდა კომიტეტი ამხ. არ. მიქაძის თავმჯდომარეობით, რომელიც მიზნათ ისახავს მუშათა საბინაო აღმშენებლობის კოოპერატივისათვის დახმარების გაწევას.

— **ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის მუშათა ახალშენი.** დიდუბის რაიონში უკვე დაწყებულია მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა ახალშენის გაშენება. სულ გაშენებული იქნება 50 სახლი, სადაც უპირველესად მოთავსდებიან ტრამვაის მუშები.

— **ამხ. ტროცკის სახელობის მუშათა ახალშენი.** ამხ. ტროცკის სახელობის მუშათა ახალშენში გაშენებული იქნება 300-მდე სახლი, სადაც დასახლდებიან რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი.

— **რკინის გზის შრომის ბირჟამ** 21 აგვისტოს აღრიცხვაზე აიყვანა 5 უმუშევარი, ხოლო სამუშაოზე გაგზავნა 8 მუშა-მოსამსახურე.

— **ახალი საბინაო ამხანაგობა.** მელითონეთა პროფკავშირის წევრებმა დაარსეს საბინა-საამშენებლო ამხანაგობა „მელითონე“. ამხანაგობა უკვე შეუდგა თადარიგს მუშათა სახლების შენების დასაწყებათ.

— **ქ. აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვა.** ქ. აღმასკომის საფინანსო განყოფილება ამ ჟამათ იმუშავებს ქ. აღმასკომის 1925 წ. ხარჯთ აღრიცხვას.

— **ავტომატიური ტელეფონები.** მომავალ წლისათვის ავტომატიური ტელეფონები გამრავლებული იქნება 100-მდის. ამ ჟამად უკვე მუშაობს 50—60 ავტომატიური ტელეფონი.

— **მოზაიკურ ნაკეთების ქარხანა.** მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე ტფილისში მოზაიკური ნაკეთების სახელოსნოს გახსნის შესახებ. საკითხი დასამუშავებლად გადაეცა კომ. განყოფილებას.

შემთხვევები:

— შეპყრობა. სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელმა ჯარისკაცთა ბაზარზე შეიპყრო ქურდი რეციდივისტი სარქის მჭედლიშვილი (იგივე გორაშვილი).

— ქურდობა. 20 აგვისტოს დილით კალოუბნის ქ. № 16, გაქურდეს ს. ბახტაძის ბინა, წაიღეს 350 მან. ნივთები.

— 20 აგვისტოს დღის 1 საათზე გაქურდეს ფოტოგრაფი კიკნაძე (რუსთ. № 37), წაიღეს 150 მან. ნივთები.

— შეპყრობა. სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ვინმე პეტროშინოვი, რომელსაც ბრალდება ნადირა ქაჯიევის ბინის გაქურდვა (აბანოს ქ. № 5).

— ბანდიტის შეპყრობა. 19 აგვისტოს შეპყრობილი იქნა ბანდიტი ალი ბაირამოვი.

ხელოვნება

სახელმწიფო კონსერვატორიის რეორგანიზაცია.

სახელოვნო კომიტეტმა, განიხილა რა სახელმწიფო კონსერვატორიის რეორგანიზაციისა და საერთოდ პროვინციაში მუსიკალურ განათლების საქმის საკითხი, დაადგინა: 1) სახელმწიფო კონსერვატორიაში გატარებული იქნას ხელახალი რეორგანიზაცია, რომელსაც საფუძვლად დაედვას ქართულ ეროვნულ მუსიკის განვითარება ყველა დარგებში და ქართულ ენაზე სწარმოებდეს მეცადინეობა. 2) დაწესდეს მუსიკალურ განათლებისათვის საფეხურები—დაბალი მუშფაკები (№ 1 ნაძალადევში, № 2 პლეხანოვის პრ. და № 3 ავლაბარში), აგრეთვე საშუალო ტეხნიკუმი და უმაღლესი კონსერვატორია (სამუსიკო აკადემია) სპეცების გამოსაშვებად; 3) შემუშავდეს მათთვის პროგრამები და შტატი; 4) კონსერვატორიაში შემცირებულ იქნეს მოწაფეთა რიცხვი, სასტიკი გადარჩევით, აგრეთვე შემცირებული იქნას მასწავლებელთა შემადგენლობაც და ამ მიზნით გამოცდების დამთავრების შემდეგ დაიხუროს კონსერვატორია, რის შემდეგ შერჩევით იქნას მიღებული პედაგოგიური პერსონალი; 5) მუშფაკებში გაძლიერდეს და გაფართოვდეს მეცადინეობა; 6) ინსტრუმენტები განაწილებული იქნას საჭიროების მიხედვით სამუსიკო სასწავლებლებში; 7) შემუშავდეს წესები პროფესორობის ხარისხის მინიჭებისა; 8) პროვინციაში მუსიკალურ განათლების გავრცელებას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ადგილობრივი ძალების მიზიდვით გაძლიერდეს მუშაობა; ზემოაღნიშნულ დადგენილების სისრულეში მოყვანა მომავალ სამოსწავლო წლამდე დაევალა ხუთი პირისაგან შემდგარ კომისიას, რომელშიაც შედიან: ბ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, კ მაგაშვილი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი და ერთი წარმომადგენელი ხელოვნების მუშაკთა კავშირის.

— **მუსიკალური მუშფაკები.** მომავალ სამოსწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება სამი მუსიკალური მუშფაკი. მუშფაკები გაიხსნება მუშათა რაიონებში ნაძალადევში, ავლაბარში და ერთიც პლეხანოვის პროსპექტზე.

— **ახალი რევოლიუციონური კინოსურათი.** სახელმწიფო კინომრეწველობა ამჟამათ იღებს ახალ რევოლიუციონურ კინო-სურათს სახელათ „წინადღით“. სცენარი დაწერილია კ. მარჯანიშვილის და შ. დადიანის მიერ.

— **კონსერვატორიის ახალი დირექტორი.**—სახელმწიფო კონსერვატორიის ახალ დირექტორად მოწვეულია კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი ქართულ მუსიკის კარგი მცოდნე.

— **მომავალი თეატრალური სეზონი.** ქართული აკადემიური დრამის დასი საზამთრო სეზონისათვის მანგლისში ამზადებს ახალ პიესებს. დასი სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩამოვა. საოპერო დასი ამჟამად სდგება და ისიც მალე შეუდგება მომავალ სეზონის სამზადისს.

— **მომღერალ ვანო სარაჯიშვილის ავადმყოფობა.** ერთ თვეზე მეტია, რაც მძიმე ავად შეიქნა რესპუბლიკის სახალხო მსახიობი-მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

— **წარმოდგენა სოფ. მათხოჯის სახალხო სახლის სასარგებლოთ.**—ამ დღეებში სოფ. მათხოჯის ქვეყ. საბჭო მართავს წარმოდგენას სოფ. მათხოჯის სახალხო სახლის სასარგებლოთ.

მუშათა ცხოვრება

ქარხკომი ასეთი უნდა?!

(ხეზე მომუშავეთა კავშირის და შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ).

თბილისის სამხედრო ხე-ტყის ქარხანაში 15 აგვისტოს დილით ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: ერთი-ერთი მუშა გაცხარებით უსაყვედურებდა ქარხკომის თავმჯდომარეს, გულიაშვილს, თუ რისთვის მოსთხოვა გულიაშვილმა ერთ მუშას ჩვენს კავშირში გადმოწერისთვის 10 მანეთი „მაყარიჩი", გულიაშვილი უარზე იდგა. ლაპარაკში მეც ჩავერიე და ვსთქვი, რომ ქრთამის მოთხოვნას მართლაც ჰქონდა ადგილი. ლაპარაკში ისიც კი დაუმატე, რომ ქარხკომი გულიაშვილი მოექცა ადმინისტ. გავლენის ქვეშ და აღარ იცავს მუშის ინტერესებს. ამ ლაპარაკის შემდეგ, მე იმ დღესვე მოხსნილ ვიქენი სამუშაოდან. მოხსნის მიზეზათ მითხრეს სამუშაოს უქონლობა. მაგრამ ეს მიზეზები ტყუილი იყო, რადგან ჩემს საქმეზე ახლა სხვა მუშაობს.

ამნაირად ბრალდებაში თავის მართლების მაგიერ გულიაშვილმა პირადი ინტერესისათვის დამითხოვა სამსახურიდან. მე ვამტკიცებ; 1) გულიაშვილმა მოსთხოვა მუშას 10 მანეთი კავშირში მიღებისთვის; 2) შტატების შემცირების დროს, შტატგარეშე დასტოვა არაფრის მქონე კარგი მუშები, ხოლო სამსახურში დასტოვა საკუთარი სახლკარის დუქნის და აგარაკის პატრონი „მუშა" იაშაკაშვილი და სხვა მზგავსი ამისა, რითაც მან დაამტკიცა მუშის ინტერესის აბუჩად აგდება; 3) ქარხკომის თავმჯდომარე გულიაშვილი რემონტს უკეთებს ახლად შეძენილ საკუთარ სახლს ნახალოვკაში იმ მასალით, რომელსაც ღებულობს შეღავათ ფასებში ქარხნიდან; 4) ჩვენ გვიშლის ავანსის მიღებას, თვითონ კი უკვე **4 თვეა აღებული აქვს ავანსი 800 მანეთი,** რომელიც ჯერაც არ გადუხდია. მივაქცევ ჩვენი კავშირის ყურადღებას ამ უსამართლობას და ვსთხოვ ზემოხსენებულის დამტკიცების შემდეგ აღმადგინოს მე ჩემს სამუშაოზე.

მუშა-ზეინკალი **სერგო ჩაფიძე**

ქარხანა „თემქა"-ს მუშებში

ქარხანა „თემქას" მუშები მორიგეობით მიდიან სააგარაკოდ ბორჯომში, წაღვერში, მცხეთაში და სხვაგან ორი კვირით. ყოველ ცეხიდან იგზავნება დასასვენებლად თითო კაცი, ვისაც კი ეკუთვნის შვებულება. ყველას ეძლევა შვებულების ფული იმის მიხედვით, თუ რამდენი დღით მიდის შვებულებაში. ფულს იღებენ წინა დღით და მიდიან დანიშნულ ადგილზე სააგარაკოდ. შვებულებიდან ჩვენი მუშები დანიშნულ ვადაზე ცხადდებიან ქარხანაში. იმ ამხანაგებს კი, რომლებიც ავადმყოფობენ, ჯანმრთელობის კომისია გზავნის სანატორიუმებში. ადმინისტრაციასა და მუშებს შორის საუცხოვო განწყობილებაა.

მუშა **ნ. მორბედაძე.**

მუშა-კორესპონდენტებს ისევ სდევნიან

მუშა-კორესპონდენტებს ჰყავთ ორნაირი ჯურის მტრები. ამათში ერთნი არიან „შეუგნებელი მტრები". სამწუხაროდ, ასეთები კი უნდა ვეძიოთ ზოგიერთ მუშათა წრეებში და შეგნებული მტრები კი ჩვენს ინტელიგენციის ერთ ნაწილში იმალებიან. ჩვენ არ გვეშინიან არავითარი მტრების, თუ კი ისინი ჩვენს პირის-პირს იდგებიან. მაგრამ სამწუხაროდ ის არის, რომ ზოგიერთი მგლები გახვეულან „ცხვრის ტყავებში", და ის მოდიან ჩვენთან, თითქოს ამ ვაჟბატონებს „ძალიან გული სტკიოდეთ მუშებისათვის. ასეთი დიპლომატები ცოტა არ იყოს საშიში არიან, როდესაც ამ ვაჟბატონებს ეხება რომელიმე კორესპონდენცია. ისინი ამ შემთხვევაში არავითარ ზომებს არ ერიდებიან და სასიკვდილო მუქარასაც კი მიმართავენ ხოლმე. განსაკუთრებით ცდილობენ ამა თუ იმ კორესპონდენციის პსევდონიმით ავტორის ძებნას და ხშირად ისეთს მუშაზე მიიტანენ ხოლმე ეჭვს, რომელსაც თავის დღეში კალამი არა სჭერია ხელში. მუშკორს არ ეშინიან სასამართლოსიც კი, მაგრამ ეშინიან ადგილის დაკარგვისა მოულოდნელათ და არ იცის, რისთვის დაითხოვეს და ვინ დაითხოვა. დროა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს მუშა-კორესპონდენტი ხელშეუხებელი იყვეს. ჩემის აზრით, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა შემოიღოს ისეთი წესი, რომ ვისაც ეხება ესა თუ ის კორესპონდენცია, სამ დღეზედ უნდა პასუხი გასცეს პრესითვე ავტორს და თუ მუშკორი სტყუის, პასუხისგებაში იქნეს მიცემული, თუ მუშკორი მართალია, დაისაჯოს ადმინისტრაცია. საჭიროა კანონით ხელშეუხებელი იყვეს მუშკორი, როდესაც ის სიმართლეს ამჟღავნებს.

მუშკორი **ნიკო მკერვალი.**

რკინისგზელთა ქრონიკა

— **კულტ. მუშაობისათვის.** ტფილისის კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა კრებამ დაადგინა ეთხოვოს საუბნო კომიტეტს აწარმოოს მტკიცე მუშაობა კულტურულ დარგში, რომელიც აქამდე მოიკოჭლებდა.

— **უბილეთო მგზავრების წინააღმდეგ.** ტფ. დეპოს მემანქანეთა მოთხოვნით, ტფ. საუბ. პროფკავშირი აწარმოებს სასტიკ ბრძოლას უბილეთობის წინააღმდეგ.

— **ვაგონების მზეთავებს.** ტფ. დეპოს ადგილკომმა სთხოვა ტფ. საუბ. პროფკავშირს გასცეს ვაგონების დამზეთავებლებს ერთი დასასვენებელი სახლი.

— **სანატორიუმებში.** თბ. დეპოს მუშათა სამეული ამუშავებს სიას დამატებით საკურორტოდ გადასაგზავნ მუშებისას.

— **მუშაობის განაწილება.** თბ. რკ. გზ. საავადმყოფოს მმართველობა შეუდგა სანიტართათვის მუშაობის განაწილების საქმეს.

— **სასადილო დეპოსთან.** დეპოს ადგილკომმა მოსთხოვა ა | კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას გახსნას მუშებისათვის სასადილო დეპოსთან.

— **აღმზრდელობითი ხასიათის აგიტაცია.** თბილისის კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა საერთო კრებამ დაადგინა აწარმოოს უმუშევარ მუშაკთა შორის ფართე აღმზრდელობითი ხასიათის აგიტაცია, მათ პროვინციაში გადასაგზავნად.

— **ჯილდოს შესახებ.** თბ. დეპოს ადგილკომმა მოსთხოვა რკ. გზ. საავადმყოფოს გასცეს ჯილდო სათბობ მასალათა ეკონომიისათვის მემანქანეებზე, მათ თანაშემწეებზე და ცეცხლმფარეშებზე.

გამოგზავნილი წერილებიდან.

სახლის პატრონის დაუდევრობა

(ქალ. ალმასკომის უქმის საყურადღებოდ).

სახლის პატრონი თუმცა ჰყავს სახლს № 68 გოგოლის ქუჩაზე, ნ. გოლდბაუმი, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს ამ სახლს. სახლი ისეა მინგრეულ-მონგრეული, რომ შიგ მცხოვრებ მუშების ცოლშვილს მოელის საფრთხე. სახლის სახურავი საცაა ჩამოაწვება თავზე მცხოვრებლებს; კიბეები ჩალეწილია. სად მიდის ის ფული, რომელიც შემოდის მდგმურებისაგან ქირის სახით? ქალაქის ალმასკომი, იმედი გვაქვს, არ მიიყვანს საქმეს მსხვერპლამდის და მიაქცევს ამ სახლს საჭირო ყურადღებას. დროა მოელოს ბოლო სახლის პატრონების დაუდევრობას.

უ—კარო.

ლოთი მუშა წარმოების და ცოლშვილის მტერია

სადგურ კოპიტნარში მსახურობენ ახალგაზრდა მეისრეები: ანტონ დათუაშვილი და სევერიანე ლეკვიშვილი. ეს ორი ახალგაზრდა არცხვენს ახალგაზრდობას თავის საქციელით, და მთვრალებს აღარ აქვთ ღონე განაგრძონ სამსახური და ხშირად ავადმყოფობენ, ამისგამო სამუშაო ფერხდება. ამ ლოთებს რამდენიმეჯერ წინადადება მისცეს, მაგრამ ისინი საზიზღარ საქციელს თავს არ ანებებენ. საჭიროა დროზე მოიყვანონ ეს შეუგნებელი მუშები ჭკუაზე.

მოუსვენარი.

ადმინისტრაციის ასეთი მოპყრობა დაუშვებელია

ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტში სწარმოებს ახტალის ტალახით ექიმობა. ტალახი იხარჯება თვით ინსტიტუტში და აგრეთვე ფასით თუ უფასოდ დირექტორის განკარგულებით ეძლევათ კერძო პირებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ტალახი ყველას ეძლევა, დირექტორმა ლამბარაშვილმა და სამეო ნაწილის გამგე ჭირაქაძემ არ დაუთმეს ერთი ვედრო ტალახი თავის ერთ-ერთ თანამშრომელს იმავე ინსტიტუტისას არც ფასით და არც უფასოდ და ეს იმ დროს, როდესაც თვით ამავე ინსტიტუტის ექიმის შემოწმებით ავადმყოფისათვის საჭირო იყო ტალახით ექიმობა. ასეთი მოქცევა ადმინისტრაციის ცუდ მთაბეჭდილებას ახდენს თანამშრომლებზე.

უსახლკარო.

ალმასკომის პასუხი მუშების წერილებზე

შესახებ წერილისა რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტის" მე-172 ნომერში სათაურით: „წყლის საზომები გასინჯეთ", გაცნობებთ, რომ ელისაბედის ქ. № 118, სახლში წყალსაზომი მუშაობს და თუ მცხოვრებს ეჭვი შეაქვთ მის არასწორ ჩვენებაში და უნდათ მისი შემოწმება, ამისათვის საჭიროა სათანადო განცხადების შემოტანა, გასინჯვის ფასის ვადახდა და ამის შემდეგ იქნება შემოწმებული.

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტი"-ს მე-158 ნომერში სათაურით: „დაუყოვნებლივ უნდა მოვვაშოროთ ეს გიჟი", გაცნობებთ, რომ აღნიშნული გიჟი კაცი დაკარგულია უგზო-უკვლოდ, რაზედაც არის მიღებული სათანადო ზომები მის მოსაძებნად.

ინფორმატორი ვარდოსანიძე.

პროვინციაში

კოოპერატიული კამპანია ახალციხის მაზრაში

ახალციხის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობას რამოდენიმე თვის წინეთ განზრახული ჰქონდა დაეარსებია მაზრის სხვადასხვა რაიონებში სარაიონო სამომხმარებლო საზოგადოებები. შესაძლებელია მკითხველს გაუკვირდეს და სთქვას: „კოოპერაციის ხსენებულ მაზრაში გვიან გაუღვიძებიაო".

მაგრამ ვინც კარგად იცნობს ახალციხის მაზრას, რასაკვირველია გაუკვირდება კიდეც სამაზრო სამომხმ. საზოგადოების გამგეობის გადადგმული ნაბიჯები და მიღწევანი. ახალციხის მაზრის მცხოვრებნი როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად დიდად ჩამორჩენილი არიან სხვა მაზრების მცხოვრებლებთან შედარებით; 90—95 პრ. მცხოვრებლებისა არიან წერა-კითხვის უცოდინარნი, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არ აქვთ სწავლა-განათლებაზე და ვინც იცის მათი ცოდნა გამოიხატება მხოლოდ სახელის და გვარის მოწერაში; ამის მიზეზით ახალციხის მაზრაში სარწმუნოებას და ძველ ტრადიციებს მეტად მაგრად აქვს ძირი გადგმული, განსაკუთრებით მუსლიმან გლეხებს შორის.

დღემდე მუსლიმანი ქალები ისე არ გაიარებდენ ქუჩაში, თუ მათ არ აქვთ პირზე აფარებული ჩადრი და მათი მამაკაცებთან გამოსაუბრებაზე ხომ ზედმეტი არის ლაპარაკი. აი ამ ძველი ტრადიციების და სარწმუნოების წინააღმდეგ სამაზრო პარტ-კომიტეტმა ადრევე მიიღო ზომები, მაგრამ ყოველგვარი მუშაობა ბრკოლდება იმ მიზეზებით, რომ მცხოვრებთა უმრავლესობის—მუსლიმანებს შორის არ მოიძებნება საკმაო რიცხვი პარტ-მუშაკებისა. მაინც სამაზრო პარტკომიტეტი ცდას არ აკლებს და გლეხთა რაიონებში ხსნის კლუბებს და მართავს წარმოდგენებს მათთვის გასაგებ ენაზე, თუმცა მას არ ესწრებიან საკმაო რიცხვი მცხოვრებლებისა. სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რაიც სულ მოკლე ხანში მიაღწევს სასურველ შედეგს.

აი, ასეთ ადგილებში, სარაიონო სამომხმ. საზოგადოების დაარსება ძლიერ გასაჭირია, მით უმეტეს, რომ გლეხებს კოოპერაციის მნიშვნელობა არ ესმით და მის შესახებ—ჩარჩ ვაჭრებისაგან ბევრი საწინააღმდეგო აქვსთ გაგონილი. პირველ ყოვლისა სარაიონო კოოპერაციის დაარსების შესახებ კამპანია ჩატარებული იქნა აწყურის რაიონში; ხსენებული რაიონი იყოფება ექვს თემათ, რომელსაც ჰყავს თავიანთ საბჭო: 1) აწყურის თემი, 2) საყუნეთის, 3) ზიკილიას, 4) ოშორის, 5) ასპინძის და 6) დვირის. პირველი ხუთი თემის მცხოვრებლები არიან მუსლიმანები, ხოლო უკანასკნელის ერთი თემის კი ქართველები. კამპანია ჩატარებულ იქნა ცალკ-ცალკე თემებში, სადაც გლეხობამ მთელი რაიონისა სურვილი გამოსთქვეს სარაიონო სამომხმ. საზოგადოების დაარსებაზე და ერთხმად დაადგინეს საწევრო ერთი მანეთი და საპაიო 5 მანეთი. არჩეულ იქმნა გამგეობა; გამგეობაში შედის ყველა საბჭოდან თითო გლეხი გამგეობის წევრად (წერა-კითხვის მცოდნე). გამგეობის წევრების მიერ სწარმოებს საწევრო გადასახადის და საპაიო თანხის შეგროვება, როგორც ფულის სახით, აგრეთვე ნატურითაც. გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დავალებული აქვს სამაზრო პარტ-კომიტეტის სარაიონო ინსტრუქტორს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მუშაობას.

რომ სარაიონო სამომხმ. საზოგადოება იქნეს გახსნილი ახალციხის მაზრის სხვა რაიონებშიაც, საჭიროა ვისგანაც ჯერ არს დახმარების აღმოჩენა. ვინაიდან ახალციხის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებას არ მოეპოება თანხა ამ მიზნების განხორციელებისათვის. კოოპერაციასთან მასის დაახლოვება კი ხელს შეუწყობს გლეხების ფიზიკურად და მატერიალურად მოღონიერებას და კულტურულად განვითარებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალციხეში მრავალი კონტრაბანდი საქონელი შემოაქვთ ოსმალეთიდან, უკანასკნელის ახალციხის მაზრასთან გეოგრაფიულად სიახლოვისა გამო და კონტრაბანდის აღმოსაფხვრელადაც კოოპერაციის ქსელის გაბმა სხვადასხვა მაზრის კუთხეში, დიდ სარგებლობას მოუტანს კერძოთ ამ მხარეს და საერთოდ კი რესპუბლიკას.

ბ. კეთილაძე.

სვანეთს დახმარება უნდა

გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა სვანეთისა და ხევსურეთის დამხმარე კომიტეტის შედგენის შესახებ. ეს მეტად სიმპატიური ნაბიჯია. მართლაც და არც ერთი კუთხე საქართველოსი არ საჭიროებს იმდენ დახმარებას, რამდენსაც ხევსურეთი და სვანეთი. დამხმარე კომიტეტს კიდეც შეუდგენია სამოქმედო გეგმა: ზუგდიდიდან ბეჩომდი (სვანეთის ადმინისტრატიული ცენტრია) გზატკეცილის გაყვანა, ფოსტა-ტელეგრაფის მოწყობა, ადმინისტრატიულ დაწესებულებების შენობათა შეკეთება, ულარიბეს მცხოვრებთათვის პირველ მოთხოვნის საგნების მიწოდება და სხვა.

სვანეთის უმთავრესი ნაკლი უგზოობაა. სვანებს თავისი ჭირნახული არ ჰყოფნით. ისინი იძულებულნი არიან სარჩო ლეჩხუმიდან შემოზიდონ. იქ ყიდულობენ სიმინდს და ცხენებზე აკიდებული მიაქვთ შინ. მაგრამ ამ მოტანაში ბევრი დრო და ენერგია იხარჯება, ექვსი ფუთი სიმინდის მოტანას ერთი კაცი და ცხენი თითქმის ერთ კვირას უნდება. ზუგდიდის სვანეთთან გზატკეცილით შეერთება იმითაც საყურადღებოა, რომ მას, სვანეთს, საშუალება მიეცემა უფრო იაფად და ნაკლები ხარჯებით მოიტანოს შინ უხვ მოსავლიან სამეგრელოდან სიმინდი. გზა აგრეთვე მისცემს გასავალს სვანეთის ხე-ტყეს.

„ზარია ვოსტოკა"-ს № 650 მოთავსებული ცნობა შეეხება ე. წ. თავისუფალსა და სადადიშქელიანო სვანეთს. სვანეთის მესამე ნაწილზე ე. წ. სადადიანო სვანეთზე კი არაფერია ნათქვამი. ამ უკანასკნელს ჰყოფს პირველ ორიდან დიდი მთა, რომელზედაც გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულში. ამიტომაც, არის რომ სადადიანო სვანეთი ადმინისტრატიულად შედის ლეჩხუმის მაზრაში. შესდგება ის მხოლოდ სამი თემისაგან (ლენტეხის, ჩოლურის და ლაშხეთის). სვანეთის პირველი ორი ნაწილი ანუ, როგორც უწოდებენ მას, გადაღმა სვანეთი მოთავსებულია ენგურის ხეობაში, ხოლო სადადიანო სვანეთი ანუ გადმოღმა სვანეთი კი ცხენის წყლის ხეობაში. არც ეს ნაწილი ჩამოუვარდება ხე-ტყით სვანეთის სხვა ნაწილებს. აქ კიდეც ამუშავებდენ ხე-ტყეს და ცხენის წყლით ჩამოჰქონდათ ხონამდე.

ხე-ტყის გარდა გადმოღმა სვანეთის (სადადიანო) ერთ სოფელში (ლაშხეთში) მინერალური წყლებიცაა, რომლებიც თავისი სამკურნალო თვისებებით ექიმთა მოწმობით არ ჩამოუვარდებიან ბორჯომს. ამ წყლებზე ზაფხულობით მოდიან მოაგარაკენი, რომელთაც ძლიერ უძნელდებათ მგზავრობა უგზოობის გამო.

ბუნების ასეთ სიმდიდრის მიუხედავათ გადმოღმა სვანეთი გაცილებით უფრო ჩამორჩენილია მატერიალურადაც და კულტურულადაც გადაღმა სვანეთზე. გადაღმა სვანეთში, განსაკუთრებით თავისუფალ სვანეთში არის თავის საკუთარი ინტელიგენცია. მთელ გადმოღმა სვანეთში კი ბევრი, ბევრი სამი ოთხი ინტელიგენტი გამოდგეს ადგილობრივი. აი სწორეთ სვანეთის ამ ნაწილს ესაჭიროება გაცილებით მეტი დახმარება. აქაც არის საჭირო ლეჩხუმამდი გზა-ტკეცილის გაყვანა. აქაც არის საჭირო სკოლებისა და სამკითხველოების გახსნა. ამ კუთხის კულტურულად ჩამორჩენილობას ამტკიცებს ხალხის ცრუმორწმუნეობა და, თითქმის, წარმართული ზნე ჩვეულებანი. საჭიროა და ფრიად საჭირო ამ კუთხის კულტურულ დონის წამოწევა.

როგორც ვიცით, გადაღმა სვანეთის ბავშვთათვის დათმობილია თბილისში განსაკუთრებული საბავშვო სახლი. საჭიროა, რომ ამ სახლში ადგილი დაეთმოს აგრეთვე ლენტეხის, ჩოლურის და ლაშხეთის თემს, ერთისიტყვით მთელი გადმოღმა სვანეთის ბავშვებსაც. საჭიროა აქაც პირველმოთხოვნის საგნებით დახმარება.

აფრაშა.

ფასანაური (საქართველოს სამხედრო გზა)

საქართველოს სამხედრო გზა თავის მრავალფეროვანი ბუნებით და თვალწარმტაცი სილამაზით მუდამ იზიდავდა ტურისტებს. წინათ ამ გზაზე ჩვენ ვხედავდით უსაქმოდ მოხეტიალე ხალხს, რომელთაც მარტო ქეიფი და ბუნებით დატკბობა აინტერესებდათ და ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამის გაცნობას არავინ სცდილობდა.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის აშენებლობითი გზაზე დადგომის შემდეგ სამხედრო გზასაც ისევ დაეტყო გამოცოცხლება. ყოველ დღე რამდენიმე დატვირთული ავტომობილები მიეზიდ-მოეზიდება მგზავრებს. ეს მგზავრები სულ სხვა ფორმაციისა არიან: ხელდაკორძებული მუშები, მუშფაკების ცნობის მოყვარე სტუდენტები და მოსამსახურენი მოსკოვისა, კიევისა, სმოლენსკისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისა. ამათ ვხედავთ წიგნებით და ფანქარ-ქაღალდებით ხელში. ზოგი მათგანი ხატავს სურათებს ბუმბერაზ მთებისას, ზოგი ათვალიერებს ისტორიულ ნაშთებს, ზოგიც სხვა საინტერესო რამეს. ეს მოგზაურები მოდიან კავკავამდინ რკინის გზით. კავკავში, ყაზბეგში და ფასანაურში აქვთ ბინები. აქ ექსკურსანტები ისვენებენ, ეცნობიან მიდამოს და მერე თბილისიდან ბათომისკენ მიემგზავრებიან შინ რუსეთისაკენ. ამ ექსკურსანტებს თავიანთ მცირე ჯამაგირიდან გადაუდვიათ ფული, პროფკავშირები მათ დახმარებიან, რკინის გზებს ფასები შეუმცირებიათ. რამდენიმე ათასმა ექსკურსანტმა უკვე ჩაიარა და კიდევ მოდიან.

ამათი საშუალებით მთიულებს შეუძლიათ გაეცნონ რუსეთს და დიდ სამსახურს გაუწევდა ექსკურსანტებს და მთიულებს ამ მხრივ კარგად მცოდნე კაცი ურთიერთის გაცნობაში ბაასების და ექსკურსიების მოწყობით.

ყოველდღე ექსკურსანტები რამდენიმე ათეულობით მიემგზავრებიან ფასანაურიდან გუდამაყრის და სხვა ადგილებისკენ, ადევნებენ თვალ-ყურს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, როგორ ეგუება ხალხი საბჭოთა ხელისუფლებას, მიწის რეფორმას, ეცნობიან ხალხის ზნე-ჩვეულებას და სხვა. რა კარგ სამსახურს გაგვიწევდა ამ საქმეში პატარა ბროშიურა საქართველოს ეკონომიური და ისტორიული ცნობებით. დასანანია, რომ აქამდის არ დაიწერა ამისთანა რამე, თორემ დაძველებული კავკასიის გზის მაჩვენებლები ცუდ სამსახურს უწევს ექსკურსანტებს. ავტომობილში კითხულობდნენ გულმოდგინეთ ამისთანა წიგნს და აი რა ამოიკითხეს: იორი ერთვის არაგვს. მაზრის აგრონომმა გაუკეთა მოხსენება ექსკურსანტების ერთ ჯგუფს დუშეთის მაზრის ეკონომიურ მდგომარეობაზე. მოხსენება ინტერესით მოისმინეს, ბევრი შეკითხვა იყო და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ხალხი ბევრი დაესწრო.

ექსკურსანტებმა გამართეს ადგილობრივ კლუბში უფასო წარმოდგენა. წარმოსთქვეს სიტყვები, წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ხალხი წარმოდგენით კმაყოფილი დარჩა. აქაური ხელისუფლება აპირებს ელექტრონის სადგურის დადგმას და ძველი შარა გზის შეკეთებას გუდამაყარში.

აგრონომი **შატბერაშვილი.**

უშაფათის თემის სკოლა (სენაკის მაზრა)

ამ თემში არსებობს ორი 7-წლედი: ერთი თემის ცენტრში, სადაც მოთავსებულია თემის დანარჩენი კულტურული და ადმინისტრატიული დაწესებულებანი; მეორე კი თემის განაპირა კუთხეში, სახელდობრ ლეგოგინეში. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ორი შვიდწლედის არსებობა აქ ზედმეტია. ერთით, თემი მცირე რიცხოვანია, სულ 375 კომლია, მეორეთ, თემი სივრცითაც პატარაა. ორივე სკოლა დაშორებულია ერთიმეორისაგან ვერსნახევრით.

მათი ცალცალკე არსებობის უნიადაგობა ადგილობრივი გლეხობისათვის ნათელია.

მესამე წელიწადია ამ სკოლათა გაერთიანების საკითხი იდგა, მაგრამ ხსენებულ კუთხის ლეგოგინეს კინკლაობით დღესაც არ არის გადაწყვეტილი. თემის სამმა მეოთხედმა ცენტრში ააგო საუცხოვო შენობა სკოლისათვის, რომლის მსგავსი მაზრაში იშვიათია. მშრომელმა გლეხობამ ამისათვის დახარჯა აუარებელი ფიზიკური და ნივთიერი ძალა. ლეგოგინეს ამ შემთხვევაში მონაწილეობა არ მიუღია. მომავალი ახალ სასწავლო წლისათვის ორივე სკოლა უნდა იქნეს გაერთიანებული. ამას მოითხოვს როგორც სკოლის, ისე განათლების ინსპექციის ინტერესიც. სკოლის შენობა კიდევ არ არის დამთავრებული. გაერთიანების შემდეგ შეერთებული ძალით უფრო იოლათ და ხალისიანათ დამთავრდება სკოლის შენობა.

აკ. ხ—რია.

ნუნისის აბანოები (შორაპნის მაზრა)

თვითმპყრობელობის დროს ეს აბანოები, რომლებიც მდებარეობენ სად. მოლითის ახლო, ეკუთვნოდა კერძო მემამულეს. თავის მოიჯარადრეების საშუალებით ის ტყავს აძრობდა საბანაოთ მისულ ხალხს და აბანოების მოწყობილობაზე ნაკლებათ ზრუნავდა. ესვე მდგომარეობა დარჩა მენშევიკების დროსაც. 1921 წელში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დაეპატრონა აბანოებს და ქონდომა მათი გაუმჯობესება, ვილაც ბოროტ-გამზრახველებმა აღნიშნული აბონო გადასწვეს.

შემდეგ ადგილობრივმა საბჭომ აღძრა სათანადო შუამდგომლობა საალმასკომთან, რომ ზემოაღნიშნულ აბანოების შეკეთების შესახებ. სამალმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ეს შეკეთება კიდეც დაასრულა ნაწილობრივ 1923 წელში. მოწყობილია ექვსი ვანა სხვადასხვა ავადმყოფთათვის.

მოწყობილია 11-სადგომი ოთახი, საფერშლო პუნქტი, საიდანაც ულარიბეს ხალხს უფასოდ აძლევენ საექიმო დახმარებას. მოწყობილია სამკითხველოსათვის შენობა, მაგრამ სამწუხაროთ არ ჰქონდათ გამოწერილი გაზეთები, ჩვენ 4 ამხანაგმა ავიღეთ ჩვენ თავზე 4 ეკზემპლიარი გაზეთის მიწოდება ყოველ დღიურათ. თვითეული მოქალაქის ბანაობა ღირს 33 კაპ. ოთახის ქირა თითო მოქალაქეზე 24 საათის განმავლობაში 41 კაპ. სურსათ სანოვაგე ძალზე იაფია.

აბანოებს აქვთ შემდეგი ნაკლი: სადგურ მოლითიდან ნუნისის აბანომდი იქნება დაახლოებით 7 ვერსი. ეს გზები ძალზე დაზიანებულია, აუცილებლათ უნდა მიექციოს ყურადღება ვისაც ეს ეხება და გლეხობის დახმარებით შეაკეთონ ის.

აბანოებზე ხალხი ძალიან ბევრი მოდის. ბინები ყველას ვერ იტევს; ერთ მშვენიერ ღამეს გაავდარდა და მისული სტუმრები ძლივ ფეხზე დგომით აფარებდენ თავს სიმშრალეს. ესეც ძალიან ადვილი გასაკეთებელია; იქვე მახლობლათ არის დიდ ძალი ხე-ტყის მასალა, რომლის საშვალებით შეგვიძლია ავაგოთ შენობა. ორი შენობა 24 ოთახით მისი ხელფასი, ვინაიდან ტყე ახლოს არის, ძალზედ იაფი დაჯდება. აგრეთვე საჭიროა ჯანმრთელობის განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება საექიმო პუნქტს, სადაც წამლები სრულებით არ მოიპოვება, და ამით ჩვენ შევსძლებთ ამ მნიშვნელოვანი საქმის დაგვირგვინებას.

ს. ცუცქირიძე.

პროვინციის ქრონიკა

—**ახალი სკოლები.** სართიჭალის ქართულმა სოფლებმა შუამდგომლობა აღძრეს ალმასკომის წინაშე ქართული სკოლების გახსნის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

— **შენობის აგება სკოლისათვის.** სოფ. სეპეითის (სენაკის მაზრა) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ააგონ სკოლისათვის ქვის ახალი შენობა.

— **საექიმო დახმარება.** სიღნაღის მაზრაში დაზღვეულია 3000 მუშა-მოსამსახურე და 9000 სული მათი ოჯახის წევრები. საექიმო დახმარებას დაზღვეულებს აძლევს 17 საექიმო პუნქტი და 1 ამბულატორია.

— **სათესლე ხორბალი.** თელავის სამაზრო ალმასკომმა დაავალა აგრო-დახმარების განყოფილებას დაჩქარებით მოაგვაროს სათესლე ხორბლის ულარიბეს გლეხებზე დარიგების საქმე.

— **ეკლესიები სკოლად.** ყულისკარის თემის (ზუგ. მაზ.) სამი სოფლის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს დაანგრიონ ადგილობრივ მდებარე 4 ეკლესია და მათი მასალით ააგონ 9-წლედი სკოლის შენობა.

— **სავაჭრო-სამრეწველოების აღრიცხვა.** თელავის ალმასკომმა დაადგინა აღრიცხოს მაზრაში ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები.

— **საცდელ-საჩვენებელი მინდვრები.** ზუგდიდის სამაზრო ალმასკომმა დაადგინა მოაწყოს საცდელ-საჩვენებელი მინდორი, მაზრაში აგრო-მუშაობის თავის სიმაღლეზე ასაყვანათ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის სავალდებულო დადგენილება № 24.

1924 წლის აგვისტო 19-ს.

თბილის-მანგლისის გზატკეცილზე ავტომობილით მიმოსვლის მოწესრიგების შესახებ.

უკანასკნელ დროს თბილის-მანგლისის გზატკეცილებზე მომხდარი უბედურ შემთხვევების შემდეგში თავიდან ასაცილებლად შ. ს. ს. კომისარიატი ადგენს:

1. დაბინდების შემდეგ აკრძალულია თბილის-მანგლისის გზატკეცილებზე ავტომობილების მოძრაობა, გარდა მსუბუქი ავტომობილებისა, რომლებითაც მთავრობის აგენტები მიემგზავრებიან სამსახურის სასწრაფო საქმეებისა გამო. კერძოდ, აკრძალულია ზემოხსენებულის გამონაკლისით, ავტომობილების გამგზავრება მანგლისიდან კოჯრისაკენ და კოჯრიდან მანგლისისაკენ-მსუბუქ ავტომობილებისა ნაშუადღევის 5 საათის შემდეგ, საბარგო ავტომობილებისა 4 საათის შემდეგ.

2. აკრძალულია—როგორც ღამე, ისე დღისით-თბილისიდან კოჯრისაკენ და მანგლისისაკენ გამგზავრება და იქიდან უკან დაბრუნება უკლებლივ ყველა სისტემის და სისწრაფის ავტომობილისა, რომელსაც არ ექნება წესიერი მოწყობილობა სიგნალიზაციისათვის და ავტომობილის მოსამუხრუჭებლად. აგრეთვე გზის| გასანათებელი ფარნები.

3. შეზარხოშებულ და მთვრალ შოფერებს და მათ თანაშემწეებს ეკრძალებათ ავტომობილის მართვა.

4. ამა დადგენილების დამრღვევი დაისჯება. ადმინისტრატიულის წესით 100 მანეთამდე დაჯარიმებით ან 2 თვემდე დაპატიმრებით, ხოლო დადგენილების მე-3 მუხლის დამრღვევნი, ამას გარდა, მოიხსნებიან ავტომობილიდან, გამოფხიზლებამდე დაპატიმრებით.

5. ამა დადგენილების სწორად შესრულების თვალყურის დევნა ეკისრება მ-გ: მილიციის ორგანოებს, რომლებიც დამოუკიდებლად ხმარობენ სავალდებულო დადგენილებით გათვალისწინებულ საშუალებათ და მის დარღვევის გამო შედგენილს ოქმებს თბილისის მ | გ. მილიციის უფროსის მეშვეობით, სასჯელის დასადებათ, უდგენენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

შინ. საქ. სახ. კომისრის მოვალ. აღმასრულებელი ა. ჯატიევი.

საქმეთა მმართველი თაზიშვილი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის **სააგიტ-საპროპაგ. განყოფილება** იუწყება, რომ მახლობელ დღეებში კომინტერნის 5-თე კონგრესის დელეგატი სამხედრო აკადემიის პროფესორი მიხეილ პავლეს-ძე ველტმანი წაიკითხავს მოხსენებას.

1914—1918 წ. წ. მსოფლიო ომი, თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და მომავალი ომები:

1) მსოფლიო ომის შედეგები, 2) ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმი. ბრძოლა გაგემონიისათვის ევროპის კონტინენტზე. ახალი კავშირები და შეთანხმება. ინგლისი, იტალია, ესპანეთი, რუმინეთი, ჩეხო-სლოვაკია. 3) ინგლისი და ამერიკა, ამერიკა და იაპონია. ბრძოლა წყნარ ოკეანესათვის. 4) ეროვნული საკითხი ევროპაში და მომავალი ომი. სლოვაკიის საკითხი, ხორვატიის საკითხი. პოლონეთი, რუმინეთი. 5) მომავალი ომების საშინელებანი. ქიმიური ომი და ქიმიური თავდაცვა. 6) საბჭოთა კავშირი და მომავალი მსოფლიო ომი.

მოხსენების ადგილის და დროის შესახებ დამატებით იქნება გამოცხადებული.

თბ. კომ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილების გამგის მოადგილე—ელისაბედაშვილი

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილება აცხადებს პარტიის ყველა წევრების საყურადღებოდ, რომ განცხადებების მიღება ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში—სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში და აგრეთვე მუშათა ფაკულტეტებზე სწარმოებს 27 აგვისტომდე.

თბ. კომიტ. სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგის მოადგილე—ელისაბედაშვილი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის [illegible] რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია გაფართოებული პლენუმი [illegible] რაიონის კომიაჩეიკების მდივნებთან ერთად.

რაიკომის პლენუმის წევრთა და იაჩეიკების მდივანთა დასწრება სავალდებულოა.

მდივანი მაშკვიძი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის [illegible] განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდნენ განყოფილებაში: 1) გლადიშევია, 2) ხრიტოშკინ სერგი, 3) ჟორჟიკაშვილი კირილე, 4) გერსამია, 5) [illegible] 6) ასამბაძე, 7) სილღერი, 8) ლომჯარიძე, 9) [illegible] 10) [illegible]

თბ. კომიტეტის [illegible] განყოფილება [illegible]

განცხადებები

თბილისის საბაჟო
აცხადებს, რომ 30 აგვისტოს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
საკონტრაბანდო საქონლის: შევიოტის, ტყავეულობის, აბრეშუმის და ბამბის ჩულქების, საგალანტერიო-საპარფიუმერიო და სხვა საგნების გასასყიდათ.
1441 2—1 საბაჟოს დროებითი მმართველი—კიკნაძე.

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომელი და სახალხო სასამართლოს მონდობილობის აღმასრულებელი
კ. გ. კობალაძე ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის მიერ 5 სექტემბერს, ა. წ. თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ფოთის სახალხო მოსამართლისა № 999,
•••••••• დანიშნულია ••••••••
საჯარო ვაჭრობით
ქალაქ ფოთის სასამართლოს დარბაზში [illegible] ქონების [illegible] სოფრომის ძე ტულუშის, დასაკმაყოფილებლად ვარდენ ჩხაიძის 1223 ჩერვონული მანეთისა. ხსენებული ქონება მდებარეობს ქალაქ ფოთში სომხის ქუჩაზე და შეიცავს ერთსართულიან აგურის სახლს ხუთი თვალით, თუნუქით დახურული, ორი თვალი ხის ფარდული ეზოში, 12 ფიცარი და ნარგავ-ნაშენი ამავე ეზოში, რომელიც ზომით შეიცავს 247 5 | 10 კვადრატიულ საჟენს და რომელიც არის შეფასებული 900 მანეთათ ვაჭრობა მოხდება შეფასებაზე. ცნობის მიღება შეიძლება ყოველდღე 9 საათიდან 2 საათამდე გარდა უქმისა პირველი უბნის მილიციის სამმართველოში.
ნ. 1443 2—1.

ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლა
ამით აცხადებს, რომ 25 ამა აგვისტოს სკოლის ბინაზე (ვაკე, ყოფილი ქართ. სემინარიის შენობა)
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება ძველი ტანთსაცმელი და სხვადასხვა რკინეულობა.
მსურველთ მიმართონ სკოლის სამეურნეო ნაწილის უფროსს.
ქვ. 1797 2—

თბილისის მექანიკური საარტილერიო ქარხანა
(ყოფ. არსენალი)
აცხადებს, რომ მომავალი სექტემბრის პირველს, 12 საათზედ დანიშნულია
მეჯიბრება რომლითაც გაიცემა შეკვეთა მიმდინარე საბიუჯეტო წლის ანგარიშისა. ცნობების მიღება და გაცნობა სამუშაო პირობებისა შეიძლება ქარხნის ბუღალტერიაში ყოველ დღე სამუშაო დღეებში დილის 9—2 საათ. მსურველთ [illegible] და შემოიტანონ დახურულ კონვერტით განცხადება თავისი პირობების საბუღალტერო გამოცდილების აღნიშვნით.
ნ. 1442 2—1. მექანიკური საარტილერიო ქარხანა.

ვამზადებ და ვასწორებ ჩამორჩენილთ
მათემატიკაში
არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიაში.
უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში შესასვლელად. პლეხანოვის ქ. №
(შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5) მიღება 8—1 ს. 3—7 ს.
1769 5—4

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთო ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანე
ბით. თბილისი, კორგანოვის ქ. № 20. 25—

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ცილების წ ბა—შემხა. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული ღება და კიბოს წამლობა
რენტგენის სხივებით
დილ. 9—1 ღლ. და 6—8 ს. სად. ბებუთოვის ქუჩა № 23.
1562 13—

დაიკარგა 1) სახლის ნასყიდობის მოწმობა აღებული თბილისის მე-13-ტე უბნის სასამართლოში, დამტკიცებული უფროს ნოტარიუსის მიერ—2) ამავე სახლის მოწმობა, დამტკიცებული უმცროს ნოტარიუსის პოზეევის მიერ და ასლი სახ.ნასყიდობის მოწმობისა, დამოწმებული თელავის ნოტარიუსის მიერ; 3) კომუნარ. მეურნეობის ინჟინრის მიერ შედგენილი აქტი რემონტის შესახებ; 4) მოწმობა კომუნარ. მეურნეობისა—ხუთას ჩერვონეცით შეფასებული 5) ვაქირავების უფლების მოწმობა, 6) სავაჭრო გილდიის მოწმობა და საგადასახადო ქვითარი და 7) ორჯერ დაზღვევის ქვითარი ყველა ესე საბუთები რახამ მანაშეროვის სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად. თუ ვინმე კი დამიბრუნებს აღნიშნულ საბუთებს თელავში, ჯილდოთ მივცემ 10 მან.
№ 1790—1—1

დაიკარგა შრომის ბირჟის [illegible] № 789 თამარ [illegible] სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 1796—1—1

დაიკარგა პირადობის წიგნაკი [illegible] დიდან მიღებული რეესტრის № 1389, [illegible] ლობით № 8 შალვა ეკტატეს ძე [illegible] ძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 1795—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა [illegible] თბილისის ტრამვაის [illegible] რეჩკიიდან და კავშირის წიგნაკი. [illegible] რო იაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
5—1—1

ტირაჟი—13.500

სტამბა „ზარია ვოსტოკას", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.